# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 ივლისი 2005 №168 (2491) ფასი 50 თეთრი




geo_geo_fan

ასე ფიქრობს გულშემატკივარი

ველით თქვენს მესიჯს

3



ოჯახური მიზეზის გამო

ალექსი როის წინააღმდეგ

6



გთხოვთ, ბოლომდე იბრძოლეთ!

ლენს არმსტრონგის სულ სხვა გზა

14

# ცქიტიშვილი გამგელდა

## ბუნდესსიურპრიზი: ვოლფსბურგი

დონეცკის „მეტალურგი“ ქართველებმა დატოვეს. ეს ცნობა გუშინ გავრცელდა და, თუკი გიორგი დემეტრაძის ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადასვლა მოულოდნელი სულაც არ იყო, ლევან ცქიტიშვილის გერმანიაში დაბრუნება და მგელთა ხროვაში, „ვოლფსბურგში“ ჩარიცხვა აშკარად სიურპრიზი გამოდგა.

ქართველი ფეხბურთელები ახალ კლუბებში უკვე ჩავიდნენ და კონტრაქტებიც გააფორმეს. „დონეცკელებთან შეთანხმებული ვიყავი, რომ ხელსაყრელი წინადადების მიღების შემთხვევაში კლუბს დავტოვებდი. „ვოლფსბურგი“ ზუსტად სამი დღის წინ დაინტერესდა ჩემით და, როგორც ხედავთ, უკვე ვოლფსბურგელი ვარ“ — განაცხადა ლევან ცქიტიშვილმა, დემეტრაძემ კი მოკლედ მოჭრა, „ალანიაში“ თავს უცხოდ ნალდად არ ვიგრძნობო.



ლევან ცქიტიშვილი ბუნდესლიგაში დაბრუნდა

# ბრონდბიუმ კიევში მიჰქარა

## თბილისში ჩამოსულმა დანიელებმა ბალახი დაიწუნეს



## ჩემპიონთა ლიგა 2005–2006

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. ეროვნული. დღეს. 20 საათი

# ბრონდბიუ ლევადიასავით დაფრინავს



მიქაელ ლაუდრუპი



მორტენ სკუბო



**ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ** დამთხვევაა: ტალინური „ლევადიას" მსგავსად, გუშინ თბილისში დანიის „ბრონდბიუს" თვითმფრინავიც რამდენიმე საათით გვიან დაეშვა. დანიელების თვითმფრინავს ძლიერი პირქარის გამო პრობლემები შეექმნა და სტუმრებმა იძულებით კიევში შეისვენეს, ავზი საწვავით ხელმეორედ აავსეს და თბილისში რვა საათისთვის ჩამოფრინდნენ. ეგაა, რომ „ლევადიასგან" განსხვავებით, „ბრონდბიუს" თავკაცმა მიქაელ ლაუდრუპმა გუნდი მაინც ავარჯიშა და შეგირდები აეროპორტიდან პირდაპირ ეროვნულ სტადიონზე მიიყვანა. გუნდს, რა თქმა უნდა, დელეგაციის სხვა წევრებიც გაჰყვნენ, მათ შორის ექვსი ჩვენი კოლეგა, რომლებმაც საქმე იქვე მოამთავრეს და მერე გასართობი ადგილები მოიკითხეს.

„ბრონდბიუ" „დინამოსთან" სათამაშოდ 18 ფეხბურთელით ჩამოვიდა, ტრავმის გამო კოპენჰაგენში დარჩა „ტვენტედან" ახლახან გადაბარგებული კიმ კრისტიანსენი, თუმც დანიელთა თქმით, ამ ფეხბურთელის თბილისში არყოფნა გუნდის თამაშს დიდად არ უნდა დაეტყოს.

სტუმრებმა ეროვნული სტადიონის ოღროჩოღრო მოედანზე დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშეს და ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, აღსანიშნი იყოს, მაინცდამაინც არც უძლეველი გუნდის შთაბეჭდილება დაუტოვებიათ. „ბრონდბიუ", რა თქმა უნდა, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და, როგორც ყველა ჩრდილოელი, წეს-კანონის ზედმიწევნით მიმდევარია.

— დარწმუნებული ვარ, რომ რთული თამაში იქნება, თბილისის „დინამო" სახელოვანი გუნდია და ხვალ ერთგული ქომაგის თვალწინ ითამაშებს. ვნახე „ლევადია" — „დინამოს" ტალინური მატჩის ფირი, თუმც ბევრი საგულისხმო ვერაფერი ჩავინიშნე. ის სეზონის პირველი თამაში იყო, ჩვენს წინააღმდეგ კი გაცილებით ძლიერ გუნდს ველი — გვითხრა ვარჯიშის დაწყებამდე *მიქაელ ლაუდრუპმა.*

**— თბილისში ტემპერატურა დაახლოებით 40 გრადუსია. „ბრონდბიუს" ეს ხელს არ შეუშლის?**

— არა მგონია. მატჩი რვა საათზეა დანიშნული და აგრილდება.

**— რას ელით ხვალინდელი მატჩისგან?**

— დაძაბულ თამაშს. ხვალ პირველი ტაიმი იქნება, გასარკვევი კი კოპენჰაგენში გაირკვევა. თბილისში, ასე ვთქვათ, ერთმანეთს უკეთ შევისწავლით, მთავარი ბრძოლა დანიაში გველის.

**— „დინამოს" თქვენი გაწვრთნილი „ბრონდბიუ" შარშან „ალპენ ქაფის" ტურნირზე შეხვდა...**

— დიახ, მაშინ ჩვენ წავაგეთ, თუმც იმ მატჩის გახსენება ახლა არ ღირს, მას შემდეგ ორივე გუნდი თითქმის მთლიანად შეიცვალა.

მიქაელ ლაუდრუპმა საათს დახედა და შეგირდები მოედნის ცენტრში შემოიკრიბა, ერთი-ორი წუთი ილაპარაკა და ვარჯიშიც გახურდა. სწორედ ვარჯიშის შემდეგ გამოველაპარაკეთ „ბრონდბიუს" ბომბარდირ *მორტენ სკუბოსაც:*

— საშინელი მოედანია და თამაში ძალიან გაგვიჭირდება. ისედაც რთული მატჩი გვექნება, მაგრამ ასეთ მოედანზე პრობლემები იმატებს და ეს მასპინძლებს საქმეს უფრო გაუიოლებს. თუმც, რაც უნდა იყოს, თბილისში გამარჯვებული არ გაირკვევა, შემდეგ ეტაპზე რომელი გუნდი ითამაშებს, კოპენჰაგენში გადაწყდება.

**— „დინამოს" მატჩის ფირს ნახავდით...**

— არა, ამ საღამოს ვნახავთ. ისე კი, მწვრთნელმა გვითხრა, „დინამოს" ძალიან სახიფათო თავდამსხმელები ჰყავსო.

**— მეტი არაფერი უთქვამს?**

— დანარჩენს ფირის ნახვის შემდეგ გვეტყვის. ახლა კი მეტოქეზე წარმოდგენაც არ მაქვს.

დანიელები „ეროვნულზე" წუთით აღარ შეყოვნებულან და თავის ბარგიანად სასტუმრო „მარიოტს" მიაშურეს.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ცხადაძის დანიური რეცეპტი

## მონდომება! მონდომება!

**დანიური „ბრონდბიუ" ესტონური „ლევადია" არ არის, მაგრამ ეს საევროთასო მატჩია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მათ შორის ისიც, რომ ამ „დინამომ" დანიის ჩემპიონი დაამარცხოს. დანარჩენი დღეს გამოჩნდება, ხოლო გუშინ დილმის ბაზაზე დინამოელთა თავკაცი ᲙᲐᲮᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ ჟურნალისტთა კითხვებს პასუხობდა...**



— სასიხარულოა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადავლახეთ, ახლა კი მეორე ეტაპი გველის — ტრავმირებული რევაზ ქემოკლიძის და დისკვალიფიცირებული დავით ოდიკაძის გარდა „ბრონდბიუსთან" სათამაშოდ ყველა დინამოელი ემზადება.

— ითამაშებენ თუ არა „ბრონდბიუსთან" სანდრო იაშვილი და ალეკო ამისულაშვილი, თამაშის დღეს გადაწყდება, სამატჩო განაცხადში კი ალბათ ორივე იქნება. მათ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ და ამ მატჩისთვის სრულყოფილად მზად არ არიან, მაგრამ ორივე კარგი ფეხბურთელია და ასეთ თამაშებში წინა პლანზე თავდადება იწევს — ამის ხარჯზე მათ შეუძლიათ კარგ დონეზე თამაში. მჯერა, რომ იაშვილი და ამისულაშვილი დღითი დღე მოუმატებენ.

— „ბრონდბიუს" თამაშის ვიდეოფირი ვერ მოვიპოვეთ, თუმცა მეტოქეზე მცირე ინფორმაციას ვფლობთ. „ბრონდბიუს" სერიოზულად აქვს დასახული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა.

— „ლევადიასთან" გაძევებით ოდიკაძემ ძალიან ცუდი საქციელი ჩაიდინა, მან გუნდი დააღალატა და ესტონელებმა კინაღამ გოლიც გაგვიტანეს. რაც შეეხება იაშვილის ხასიათიდან გამომდინარე მსგავს შესაძლო საფრთხეს, მოედანს მიღმა ლოიალური ვარ, მაგრამ ვარჯიშზე და თამაშზე სერიოზული დიქტატორი გახლავართ — ეს „დინამოს" ფეხბურთელებმა იციან და ამას ალბათ იაშვილიც გაითვალისწინებს. მისი ხმა ვარჯიშებზე არ ისმის. იმას, რაც იაშვილი „თბილისში" აკეთებდა, „დინამოში" ვეღარ გააკეთებს.

— დანიის ჩემპიონატი რომ ჩვენსაზე მაღალი დონისაა, თქმა არ უნდა. ჰოდა, დანიის ჩემპიონსაც თავისი ინფრასტრუქტურითა და ფინანსებით ჩვენთან შედარებით პლუსების აქვს, მაგრამ არც ერთ-ორ თამაშში წყდება ყველაფერი, მონდომების და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მათთან ტოლ-სწორად თამაში შეიძლება.

— „დინამოსთან" კონტრაქტი არ მაკავშირებს და ამ თემაზე ლაპარაკი არც ყოფილა, კლუბის ხელმძღვანელობის წინაშე ეს საკითხი არ წამომიჭრია. ახლა მთლიანად „ბრონდბიუსთან" მატჩზე ვარ გადართული. ჩემი კონტრაქტის საკითხი ალბათ სამომავლოდ გადაიდება.

— სანამ ეროვნულ სტადიონზე მოედნის საფარი არ გამოსწორდება, სწრაფი ფეხბურთის თამაში შეუძლებელი იქნება. ეს საფარი, მგონი, ჩემზე უფროსია. ერთი სიტყვით, ეროვნული სტადიონი რომ მისახედია, ამას ჩემი თქმა არ სჭირდება.

— 90 წუთი პრესინგს ვერცერთი გუნდი შეძლებს, მაგრამ ჩვენ პრესინგისთვის მზად უნდა ვიყოთ. „ლევადიასთან" თბილისურ მატჩში ჩვენი მცველები ზედმეტად იზღვევდნენ თავს, რადგან ტალინში გაშვებული გოლი ტვირთად გვაწვა. ხვალინდელი მატჩი კი განსხვავებული იქნება.

— თავდასხმაში მართლაც ღირსეული კონკურენციაა ჩვენთან. ლევან მელქაძის სათამაშო წონა ადრე 84-85 კილოგრამი იყო, მაგრამ ახლა მისი სათამაშო წონა 80 კილოგრამია. გია მეკრელაძემაც დაიკლო ოთხი კილო. დღითი დღე უმატებს ვლადიმერ დვალიშვილი, მიხეილ ბობოხიძე ძალიან კარგად ითამაშა „ლევადიასთან", იაშვილიც თავდადებით იბრძვის მირითადში დასამკვიდრებლად — კარგი იქნება, თუ ყველა რგოლში ასეთი კონკურენცია იარსებებს.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

**ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ**

**ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ**

**XII ᲢᲣᲠᲘ**

**ᲗᲠᲝᲢᲣᲠᲘ 0:1 ᲤᲠᲐᲛᲘ**

geo_geo_fan@hotmail.com






# პრეზიდენტის სიტყვის ფასი

## დაუმესიჯე მხარდაჭერა შენს რჩეულ ფეხბურთელს

*ალენ ჟირესი მოხსნეს. საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი უკვე იმდენჯერ მოუხსნეს, დათვლამ აზრი დაკარგა, მაგრამ ჟირესის მოხსნა სხვანაირი მოხსნა გამოდგა. აი, რას ვგულისხმობთ: აქამდე მწვრთნელს ყოველთვის ცუდი შედეგისთვის ხსნიდნენ. ხალხი კმაყოფილი რჩებოდა, თუმცა ერთი-ორ ქოქოლას ფედერაციასაც დააყრიდნენ ხოლმე -- რომ ნიშნავდით, ხომ მაშინვე იცოდით, რომ ვერ ივარგებდაო. ყველაზე დიდი ქოქოლა კი ფედერაციის წინა პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას მაშინ დააყარეს, ალექსანდრე ჩივაძის გაშვების მერე თავად რომ დადგა ნაკრების მწვრთნელად და ალბანური სირცხვილი ჭამა.*

*ხალხისთვის გული მაინცდამაინც არც ალენ ჟირესის გაშვებას დაუწყვეტია. რამდენიც უნდა თქვან ერთეულებმა, მწვრთნელს დრო სჭირდებაო, ერთი-ორი სირცხვილი და, ხალხს დროის მიცემის გაგონებაც აღარ სურს. მაგრამ, როგორც თავშივე ვთქვით, ფრანგის გაშვება მაინც სხვანაირი გამოდგა და ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ნოდარ ახალკაცის კომენტარები და თავად ჟირესის ბრალდებები.*

*აქამდე ნაკრების არც ერთი მწვრთნელი არ გაუშვიათ ასე უკმეხად და არც ერთ მწვრთნელს არ ულიარებია, ფედერაცია გამოსაძახებელთა სიას მაჩეჩებდაო.*

*ერთი სიტყვით, რაც ამ ბოლო ხანს პრეზიდენტისა და ყოფილი მწვრთნელის მიერ ითქვა, მწვრთნელის მოხსნაზე უფრო რეზონანსული ამბებია.*

*ჩვენს ფოსტაში მოსული გულშემატკივართა წერილებიც ამას ადასტურებს...*

**KUTAISELI:** ნოდარ ახალკაცს პრესკონფერენციაზე ისეთები უთქვამს, რომ... მარტო ეს რად ღირს: ნაკრების შემადგენლობის დასახელებას მწვრთნელი არ სჭირდებაო. ეს უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ქართული ფეხბურთი კვდება და ყველანაირად ცდილობენ, იგი ქართველი მწვრთნელის ხელში მოკვდეს. ან საერთოდაც, სად გვყავს ქართველებს სანაკრებო მწვრთნელი? ვიიინ? გაიოზ დარსაძე? მსგავსი სისულელე არავის წამოსცდეს. უცხოელი გვინდა, უცხოელიიიიი!!!

**VIKONT:** ქართული ფეხბურთი მკვდარია და მისი მკვლელები ყველანი ერთადა ვართ — ფედერაციაც, რომელიც თვლის, რომ ნაკრების შემადგენლობის დაყენებას მწვრთნელი არ სჭირდება, მწვრთნელიც, რომელიც საქართველოს ნაკრებს არც არასდროს ჰყოლია (ბოსკამს თუ არ ჩავთვლით), გულშემატკივარიც, რომელიც სტადიონზე ბოთლების სასროლად მიდის და ფეხბურთელებიც, რომლებსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. სულ კარგად ბრძანდებოდეთ.

**PLATINI-84:** ქართული ფეხბურთი თურმე მზად არ ყოფილა ოტო რეჰაგელის დონის მწვრთნელისთვის. „ქართულმა ფეხბურთმა“ უცბად რომ გამოაცხადოს, მზად ვარო, მაინც ვერ ჩამოვიყვანთ რეჰაგელს ან მისი დონის მწვრთნელს, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფული არა აქვს. ჰა-ჰა, წლის ბოლომდე ფედერაციამ რამდენიმე ათასი დოლარი იშოვოს, თუ ალენ ჟირესს წაართმევს კონტრაქტით კუთვნილ თანხას ან მის ნაწილს მაინც. ხვალ რომ ოტო რეჰაგელი ჩამოვიდეს და გვითხრას, თქვენს ნაკრებს ჩავიბარებ, თეთრიც არ მინდა, მუქთად ვიმუშავებო, რა ვუპასუხოთ? ჩვენი ფეხბურთი რა თქვენი საკადრისიაო?! ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ახალკაცს კონკურენტები ვინც შემოაფცქვნა, ფულსაც ის გამოვიდეს. საქმე კი ასეა: ქართული ფეხბურთი მზად თუ არაა და ფედერაციას ფული არა აქვს, ნაკრების ფეხბურთელების გამოსაძახებლად კი მწვრთნელიც არაა საჭირო, გვინდა ფედერაცია და საქართველოს ნაკრები? პრეზიდენტი ფულს თუ ვერ გამოჩხრეკს, უკეთესი მწვრთნელის მოძებნას არ ეცდება, რაღა გვეფეხბურთება? კიდევ ერთი უბედურების მეშინია: ისეთი კაცი არ დანიშნონ მწვრთნელად, ნაკრები მთლად დახლს დაამსგავსოს. ჟირესამდეც ყოველთვის იყო და ჟირესის დროსაც გვახსოვს „მჟავეს“ რომ ლობირებდნენ ვილაცვილაცეები, რათა ლობიოს ფასად გაეყიდათ ჭე კლასის კლუბში.

ორი წლის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ბედს ვცდი. ფული მე არ მაქვს და ქართული ფეხბურთი არც მაშინ იქნება მზად დიდი მწვრთნელებისთვის. სუპერპატრიოტული მოტივით კი ერთ კარგ საქმეს გავაკეთებ — „ხოფასფორს“, „რიზესფორს“ და „ტრაბზონსფორს“ საქართველოს ჩემპიონატში ვათამაშებ. შენ დაუკაააააა!

**VINCXA-2005:** საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი აღარ ჰყავს და თურმე ფედერაციაც არ ჰყოლია. კაცი რომ იტყვის, შემადგენლობის დაყენებას მწვრთნელი არ სჭირდებაო, ფედერაციის პრეზიდენტად კი არა, ცირკის პრეზიდენტად უნდა აერჩიათ.

ჟირესმა მარტო ისიც რომ უთხრას თავის ძმაკაც პლატინის, რაც აქ ხდება, ჩვენზე გულის ასაცრუებლად ესეც კმარა, მაგრამ რადგანაც ფრანგს თავისი ხელფასიც აღარდებს, უეჭველად გააბუქებს მდგომარეობას და პლატინიმაც, შანსი არაა, მეგობარს არ დაუჯეროს.

ასე რომ, ნულარც უეფას დახმარების იმედი გვექნება, ნულარც ფედერაციის და ნულარც კარგი მწვრთნელის დანიშვნის.

**RAUL:** „სარბიელს“ გაუმარჯოს! ჯერ სადა ვართ, მერე ნახეთ, ყაზახეთის ნაკრებიც თავზე რომ წამოგვაჯდება. შემადგენლობის დასახელებას მწვრთნელი რაში სჭირდებაო. არ სჭირდება და ნუ სჭირდება... მაშინ „ამტანივით“ SMS-ები გავაგზავნოთ „ლიუბიმჩიკ“ ფეხბურთელებზე და ვისაც იმუნიტეტი ექნება, ის 11 კაცი ვათამაშოთ ყაზახეთში. ხო მაგარი იდეაა, რას იტყვით? ჟირესი არაფერი მწვრთნელი არაა, მაგას „ტრუაში“ და „ბასტიაში“ არ ამუშავებენ, მაგრამ ქართველი ვინა გვყავს მაგარი? დიდი ნოდარ ახალკაცისნაირი მწვრთნელი რომ გვყავდეს, ვინ მამაძაღლი დაიტირებდა ჟირესს!!! ეჰ, ძვირფასო პრეზიდენტო, იურისტობა სხვა რამეა, ფეხბურთი კიდევ სხვა. ჯერ როდის გეტყობოდათ, რომ ფეხბურთის აზრზე არა ხართ, იცით? „იმედში“ რომ გამოხვედით და კალაძეზე რომ თქვით, კარგი იქნება, ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგას თუ მოიგებს და ამიტომაც „ლივერპულთან“ „მილანს“ ვგულშემატკივრობო. მგონი, არც იცოდით, კალაძეს ლიგა მოგებული რომ ჰქონდა. ვაი ჩვენს პატრონს!

**SUPERMARIO:** ნოდარ ახალკაცი ამბობს: ქართული ფეხბურთი მზად არ არის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მაღალი დონის სპეციალისტი წვრთნიდეს.

მაშინ, ახალკაცის ლოგიკით, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაბალი დონის სპეციალისტი უნდა წვრთნიდეს.

და ვინ არის დაბალი დონის სპეციალისტი? ახალკაცისვე ლოგიკით, ეს ახალკაცების ოჯახის მეგობარი გაიოზ დარსაძეა.

**RINO:** გაუმარჯოს „სარბიელს“! კარგია, რომ აღადგინეთ ისევ ეს რუბრიკა და მეც გადავწყვიტე ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა...

რა უნდა ვთქვა? ალბათ, ახალს ვერაფერს ვიტყვი, სამწუხაროდ, ვხვდები და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იმაში, რომ ქართული ფეხბურთი განვითარების მაგივრად უფსკრულისკენ მიდის. თუ უკვე არაა იქ გადაჩეხილი.

ჟირესი გაუშვესო, ამტყდარა ერთი ამბავი. მერე რა, რომ გაუშვეს, იგი წავა და სხვა მოვა, ხომ გაგიგიათ, მაგრამ, სულ რომ ცდილო, სხვა ვინ? უბედურებაც ის არის, რომ უკეთესი აქ არავინ მოვა, იმიტომ, რომ არ სურთ, კეთილი უხადონ, იმიტომ, რომ მერე გადააგდებენ, იმიტომ, რომ არ სურთ, წარმატებებს მიაღწიონ, იმიტომ, რომ არ სურთ, იმ მწვრთნელმა ფეხბურთელები საკუთარი შეხედულებით შეარჩიოს და გამოიძახოს ნაკრებში.

თქვენს გაზეთში წავიკითხე და ჭკუიდან ლამის შევიშალე, ახალკაცი რომ ამბობს, ფეხბურთელების გამოძახებას და გუნდის დაკომპლექტებას მწვრთნელი არ უნდაო... რაააა? აბა, ვინ უნდა, ბატონო ნოდარ?! მერაბ ჟორდანიასავით თავად ხომ არ ჩაუდგებოდით ნაკრებს სათავეში?

მოკლედ, არ ვიცი, უკვე რა ვიფიქრო: ნაკრები არა, ჩემპიონატი არა, კლუბები არა, ინფრასტრუქტურა არა. აბა, რაააააა?! მხოლოდ ის, რომ ვიღაც-ვიღაცეების თვალის ასახვევად იმოქმედოთ? როდემდე უნდა გამოიძახონ ნაკრებში გასაყიდი ფეხბურთელები? ახლა ნახეთ თქვენ „მაყუთის გამაზვები“ და „ზაივკები“ — ამდენს ვიხდი და ჩემი კაცი უნდა ათამაშოო.

დაიმახსოვრეთ, ხალხნო: თვალებში ესენიც ნაცარს გვაყრიან!

საქართველოს ნაკრები ფედერაციის ნაკრები არაა, ჩინოვნიკებო, გაიგეეეეეთ!!!

*ეს ჩვენი დღევანდელი ფოსტაა — წასაკითხად მეტისმეტად უხიამოვნო, შინაარსით კი ერთფეროვანი. არც ერთია ჩვენი ბრალი და არც მეორე. იმედი გვაქვს, ხვალინდელი ფოსტა უფრო მრავალფეროვანი მაინც იქნება.*

**WEB-ოსტატი გუარა**

geo_geo_fan@hotmail.com



გიორგი დემეტრაძემ „ალანია“ გაიმეორა

# დემეს ალანიური სამწლიანი

**გიორგი დემეტრაძე** ვლადიკავკაზში ჩავიდა და „ალანიასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოსური კლუბის პრეზიდენტმა სერგეი ტაკოევმა „დემეს“ შესაძენად ყველაფერი იღონა, ახლა კი ჯერი ქართველ ფორვარდზე და მის გოლებზეა.

„თქვენ წარმოიდგინეთ, ვლადიკავკაზელებს არც აინტერესებდათ, რამდენი გოლი გავიტანე უკრაინის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში და საერთოდ, როგორ ფორმაში ვიყავი. უბრალოდ, მათ დემეტრაძე უნდოდათ და თავისას მიაღწიეს. „ალანიაში“ ადრეც ვთამაშობდი და მაშინ სულ სხვა შემადგენლობა იყო, მაგრამ ახლა ოდნავადაც არ გამიჭირდება, რადგან გუნდში ექვსი ქართველი დამხვდება“ — ესეც გიორგის კომენტარი.

**ილია ნანობაშვილი**

# ზეგ ქართველებს პასუხს მოსთხოვენ

**ზეგ** ევროპაში უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩების დღეა. თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაიწყება „ლოკომოტივი“ — „ბანანცი“, რომელსაც ხორვატი მსაჯები გაუძღვებიან — მთავარი არბიტრი მარიო სტრაჰონიაა, გვერდითები კი ჟელკო გრგეჩი და იგორ კრმარი.

„მიხეილ მესხზე“ ხვალ, საღამოს შვიდის ნახევარზე ჯერ ერევნის „ბანანცი“ ივარჯიშებს, რვა საათზე კი „ლოკომოტივი“. ვარჯიშებს შორის ამავე სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში რკინიგზელთა თავკაცი ნოდარ აკობია ჟურნალისტებს გაესაუბრება.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „ბანანცმა“ გუშინწინ სომხეთის ჩემპიონატში „დინამო-ზენიტს“ 3:1 მოუგო და [illegible] ადგილზე დარჩა. ცნობისთვის, ერევნელთა რიგებში არც მეკარე მანუჩარ ივარდავა გამოჩენილა და არც გიორგი ფურცელაძე.

ახლა მეორე ქართული მეუეფასთასე მოვიკითხოთ. დაშლილ-დაქუცმაცებულ ქუთაისის „ტორპედოს“ ბელარუსში ბატესთან, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოგებას არავინ სთხოვს. ეს თამაში ბორისოვოში თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება, მსაჯები კი ბულგარელები იქნებიან: მთავარი იგორ მოსკალოვია, რომელსაც კრასიმირ კეზეროვი და ვენცისლავ გავრილოვი დაეხმარებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# ბორჯომმა თბილისელები გააშვიდა

**„ბორჯომში“** ფეხბურთელების მიდი-მოდი გრძელდება. უმაღლესი ლიგის დებიუტანტები შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობენ და გუშინაც საკმაო ძალა შეიმატეს — „თბილისის“ თავდამსხმელი გოგი ფიფია, რომელმაც გასული სეზონი წარმატებულად ჩაატარა და 12 გოლიც გაიტანა. გეცოდინებათ, ახლახან ფიფიას თურქულ „ქაისერში“ გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ფიფია ქართლელებისთვის საახალსეზონოდ „თბილისიდან“ გადაყვანილი მეშვიდე ფეხბურთელია.



ბორჯომელებმა თავდასხმა მთლიანად დააკომპლექტეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ სოსო ფრუიძის გუნდი, შესაძლოა, ექსტორპედოელმა რევაზ ჯიქიამ დატოვოს. კიდევ ერთმა ყოფილმა ტორპედოელმა, ნახევარმცველმა კობა შალამბერიძემ კი „ბორჯომში“ დარჩენას ქუთაისში დაბრუნება არჩია და გუნდს საუეფასთასოდ ბორისოვოშიც გაყვება.

**ლუკა თალაკვაძე**

## ქართველები უცხოეთში

# რუსები ასათიანს ჩაუტკბნენ

***რუსეთში დღეს მალხაზ ასათიანზე ლაპარაკობენ.*** მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლიდერი დღითი დღე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებებით, პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა სეზონის დამთავრებამდე ჯერაც ადრეა და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ფაქტი ისაა, რომ ასათიანი წლეულს ყველაზე მეტჯერ, რვაჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში და ერთბაშად სამ ნომინაციაში (მცველი, უცხოელი, ფეხბურთელი) ლიდერობს.

მოკლედ, „ლოკომოტივმა“ 1:0 მოუგო „მოსკვას“ და კვლავაც თავში უდგას სატურნირო ცხრილს. ასათიანმა კი, რუს კომენტატორებს თუ დავესესხებით, პროფესორივით ითამაშა.

მალხაზის ძმაკაცმა *მიხეილ აშვეთიამ* კი პირველი როსტოვული გოლი გაიტანა. „ლოკომოტივიდან“ განათხოვრებულმა ქართველმა ფორვარდმა „შინიკთან“ მატჩში საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, თუმცა ამან როსტოველებს მაინც ვერ უშველა — იაროსლაველებმა 2:1 მოიგეს.

***სეზონის წარმატებული სტარტი „ტიროლთან“ მატჩით გაიუფერულა დავით მუჯირმა,*** გრაცის „შტურმის“ ქართველი შემტევი 55-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან, მატჩი კი უგოლოდ დასრულდა.

**ბახა შალამბერიძე**



მალხაზ ასათიანმა (№30) „მოსკვასთან“ მატჩშიც იფრინა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | მოსკვა 1:0 | 90 | | 16 | 1 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | მოსკვა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | მოსკვა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | შინიკი 1:2 | 90 | 1 გოლი | 3 | 1 | 16 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 90 | | 14 | 1 | 13 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 13 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 90 | | 10 | 0 | 13 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 13 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 8 | 0 | 13 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ზენიტი 1:3 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 13 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 0:0 | 90 | | 12 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 0:0 | 80 | შეცვალეს | 3 | 2 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 0:0 | 90 | | 3 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო 0:3 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ვორსკლა 1:0 | 86 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 3 | 2 | 2 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ტავრია 2:0 | 83 | შეცვალეს | 3 | 1 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | დინამო 0:4 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 16 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ტიროლი 0:0 | 55 | გააძევეს | 2 | 1 | 2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 4:2 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | შ | ვენტსპილსი 2:1 | 90 | | 13 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | მეტალურგსი 1:2 | 0 | | 12 | 2 | 2 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | ს | მეტალურგსი 1:2 | 0 | | 7 | 1 | 2 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | | ტური გამოტოვა | | | 14 | 3 | 8 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ატირაუ 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები
# მიქაელ ლაუდრუპი

*სიტყვით ძნელია, მთელი სისავსით გადმოსცე 1984 წელი, ზეპ პიონტეკის გაწვრთნილი დანიის ნაკრები, იმდროინდელი ვარსკვლავური ფეხბურთი და ის, თუ ვინ იყო მაშინ მიქაელ ლაუდრუპი. ადვილია იმის თქმა, რომ ლაუდრუპი იყო ინტელიგენტი და არაჩვეულებრივი ფეხბურთელი, ნამდვილი ესთეტი და კიდევ რამდენი რამ...*



# ესთეტი ბრონდბიუდან



ძმები ლაუდრუპები: მიქაელი და ბრაიანი

**იოჰან კრუიფისთვის** რომ გკითხათ, მისი, პელეს და ბეკენბაუერის დარი ტიტანები მხოლოდ მშიერ, ღარიბ და პარტახ დროებაში იბადებოდნენ და ახლა ამიტომაც აღარ არიან ასეთები...

სიტყვათა თამაში, კამათი, მისტიციზმი — აბა, რას აღარ დაიტევს ფეხბურთი, როცა ლაუდრუპზე და მართლაც ვარსკვლავზეა ლაპარაკი.

მიქაელ ლაუდრუპი 18 წლისა იყო, დანიის ეროვნულ ნაკრებში პირველად რომ ითამაშა. პირველ შვიდ სანაკრებო შეხვედრაში მან ცხრა გოლი გაიტანა და 19 წლისამ 1984 წელს საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამყარო ალაპარაკა. ალან სიმონსენი, სიორენ ლერბი, მორტენ ოლსენი, პრებენ ელკიაერ-ლარსენი — ასეთი ხალხი ჰყავდა მაშინ დანიას, მაგრამ ნახევარფინალში პენალტების სერიაში ესპანეთთან დამარცხდა.

ლაუდრუპი მანამდეც ჰყავდათ „შემჩნეული", 1983 წელს „იუვენტუსმა" შეიძინა „ბრონდბიუსგან", მაგრამ მაშინ „იუვეში" ისეთი თანავარსკვლავედი იყო (პლატინი, ბონეკი, როსი...), რომ დანიელი ყმაწვილი ორი წლით რომის „ლაციოში" განაათხოვრეს.

იტალიაში ლაუდრუპმა შთამბეჭდავად ითამაშა, 1986 წელს „იუვენტუსთან" ერთად სკუდეტოც მოიგო, მაგრამ როცა გუნდში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო, ლაუდრუპი ახალი თაობის ლიდერი ვერ გახდა, თითქოს ასეთი როლი „იუვენტუსში" მისთვის არ იყო დაწერილი, ლაუდრუპი „ბებერ ქალბატონთან" რომანს ვეღარ გააჭიანურებდა და წავიდა იქ, სადაც მისი მისვლა ძალიან უნდოდათ — იოჰან კრუიფის „ბარსელონაში".

აი, ის „ბარსა" იყო თუ იყო. კრუიფმა დიდებული გუნდი შექმნა, რომელიც ამტკიცებდა შემტევი, ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთის უპირატესობას. 1991-95 წლებში „ბარსელონა" ზედიზედ ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხოლო 1992 წელს გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ჯერჯერობით ბოლოჯერ.

1991-92 წლების სეზონი ლაუდრუპმა ფანტასტიკურად ითამაშა, მაგრამ რადგან ნაკრებში აღარ თამაშობდა, ამიტომაც ვერ შესწვდა „ოქროს ბურთს".

... 1990 წელს მიქაელს და მის ძმას ბრაიანს კონფლიქტი მოუვიდათ დანიის ნაკრების თავკაც რიჩარდ მიოლერ-ნილსენთან, ძმებმა უარი თქვეს ნაკრებში თამაშზე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბრაიანმა გადაწყვეტილება შეცვალა, მიქაელმა კი არა.

დანია შემთხვევით მოხვდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე — შესარჩევ ჯგუფში მაშინდელი იუგოსლავია გავიდა პირველ ადგილზე, მაგრამ პოლიტიკური მოვლენები ისე განვითარდა, რომ [illegible]ლა, უეფამ კი ფინალურ ეტაპზე მეორეადგილოსანი დანია გაუშვა და მიოლერ-ნილსენის გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა.

ლაუდრუპი „ბარსას" 1994 წელს დაშორდა, რადგან კრუიფი [illegible] ხშირად სათადარიგოთა სკამზე [illegible] წესებდა დანიელს — მაშინ ლეგიონერების რაოდენობა [illegible] რებული იყო, მწვრთნელს მოედანზე ოლენ სამი უცხოელის გაყვანა შეეძლო და როცა [illegible] კუმანს, ხრისტო სტოიჩკოვს და ლაუდრუპს რომარიოც [illegible] მათგან სკამზე ჯდომა [illegible] მეტჯერ სწორედ დანიელს უწევდა და...

ლაუდრუპის პასუხი: [illegible] რიდის „რეალში" [illegible] და 1994-95 წლების სეზონში „რეალმა" ესპანეთის ჩემპიონატის [illegible] ტჩში „ბარსას" 5:0 [illegible] უდრუპი კი იმ სეზონში [illegible] თედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

33 წლის ლაუდრუპი [illegible] გაში წავიდა [illegible] იაპონიაში დიდხანს ვერ გაძლო, ერთ წელიწადში ევროპაში დაბრუნდა და მისმა ნაკრებელმა თანაგუნდელმა მორტენ ოლსენმა „აიაქსში" მიიწვია. ეს იყო 1997 წელს, ლაუდრუპს კიდევ უნდოდა ნაკრებში თამაში და „აიაქსი" საამისოდაც ძალიან [illegible] და. იმავე სეზონში „აიაქსმა" [illegible] დაიდა შიდა [illegible] და [illegible] გოლი გაიტანა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ლაუდრუპის [illegible] პასებს მოჰყოლა.

მოკლედ, ლაუდრუპი კვლავ მოიწვიეს ნაკრებში და მისმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ დანიის ნაკრებმა საფრანგეთი-98-ზე მეოთხედფინალამდე მიაღწია, ლაუდრუპი კი ფეხბურთელობას შეეშვა.

მწვრთნელობა ლაუდრუპმა ორი წლის შემდეგ დაიწყო, დანიის ნაკრებში მორტენ ოლსენის თანაშემწეობით, ხოლო „ბრონდბიუ", რომელსაც დღეს [illegible] ლისში, წლინახევრის წინ ჩაიბარა.

...ნეტავ მათ, ვისაც ახსოვს ვარსკვლავური ფეხბურთი და მიქაელ ლაუდრუპი.

**დავით თავართქილაძე**









# ინტერი ინგლისურ ტერორში



„ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი და მწვრთნელი რობერტო მანჩინი საბოლოოდ ინგლისში წასვლას მაინც დაყაბულდნენ

მილანის „ინტერის“ უფროსობამ კიდევ ერთხელ შეცვალა გადაწყვეტილება, ლონდონში გახშირებულ ტერაქტებს აღარ შეუშინდა და გუშინ ინგლისურ ტურნეში გაემგზავრა. მილანელებმა წუხელ „ლესტერთან“ ბურთაობაც მოასწრეს.

მოგეხსენებათ, „ნეროაძურის“ გადაწყვეტილებას ტურნეს ჩაშლის შესახებ, ინგლისური მხარის უკმაყოფილება და გაღიზიანება მოჰყვა. ბრიტანული ფეხბურთის ჩინოვნიკებმა და ლონდონის მერმა მილანელთა საქციელი დაუფარავად გააკრიტიკეს. პროტესტი გამოთქვეს იმ კლუბებმაც, რომლებთანაც „ინტერს“ შეხვედრები ჰქონდა დაგეგმილი. მატჩების ჩაშლის შემთხვევაში ისინი სოლიდურ ფინანსურ ზარალს ნახავდნენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რობერტო მანჩინის გუნდი და მისი ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ, გადაწყვეტილება ისევ შეეცვალათ — „ინტერი“ ოთხშაბათს „კრისტალ პალასს“, პარასკევს „ნორვიჩს“, ხოლო კვირას „პორტსმუთს“ შეხვდება და იტალიაში დაბრუნდება.

„ჩემს იტალიელ კოლეგას მარიო პესკანტეს ვესაუბრე, რომელიც ფეხბურთის ფედერაციასა და „ინტერის“ ხელმძღვანელობას მოელაპარაკა. პრობლემა აღარ არის, ტურნე შედგება — თქვა ინგლისის სპორტის მინისტრმა რიჩარდ კაბორნმა.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, ტურნე აღარ ჩავშალოთ. ამას ამიტომ ვაკეთებთ, რომ ინგლისელთა მხრიდან გაკეთებული კომენტარები გავაქარწყლოთ. უბრალოდ, არ გვინდოდა, მათთვის დამატებითი პრობლემა შეგვექმნა“ — ეს კი „ინტერის“ პრეზიდენტ ჯაჩინტო ფაკეტის სიტყვებია.

**გიორგი ქაქაბაძე**





როი კინმა და ალექს ფერგიუსონმა ერთმანეთს თითები უჩნიეს

# ოჯახური მიზეზის გამო
## ხუთი შვილის მამა გააბრაზეს

ალექს ფერგიუსონი და როი კინი აზიურ ტურნეში გამგზავრებამდე პორტუგალიაში, ალგარვეში წაკამათებულან. „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანს კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება და მისი გახანგრძლივება სურდა, მაგრამ მწვრთნელთან ჩხუბის შემდეგ, ალბათ უარს იტყვის.

ფერგიუსონმა გუნდი დათქმულ ვადაზე ერთი კვირით ადრე შეკრიბა ალგარვეში. ფეხბურთელებს უთხრა, შეგიძლიათ, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანოთო. საკუთარ აგარაკზე, მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად მყოფმა როი კინმა ოჯახი პორტუგალიაში ჩაიყვანა. კაპიტანს იქაური პირობები არ მოეწონა და ცოლ-შვილის ისევ უკან, აგარაკზე დაბრუნება მოისურვა. ეს რომ სერ ალექსს უთხრა, მწვრთნელი გაბრაზდა. კინმა ყვირილზე ყვირილით უპასუხა და ამბავი ამტყდარა, ოღონდ, ცხადია, ხელდახელ არ შებმულან.

ინგლისური მედიის ცნობით, ფერგიუსონმა კინი ამიტომაც არ წაიყვანა აზიურ ტურნეში. მის პოზიციაზე ალან სმიტი უთამაშებია და უქია კიდეც. როი კინის მრჩეველ მაიკლ კენედის მტკიცებით, ტურნეს გამოტოვების მიზეზი ჩხუბი კი არა, ფეხბურთელის ტრავმაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიშველე, რომან!
## ესიენი ჩუკოტკის გუბერნატორს მიადგა

მიკაელ ესიენი „ლიონში“ ისე შეწუხდა, რომ რომან აბრამოვიჩს ეხვეწება, მიყიდეო.

მოგეხსენებათ, საფრანგეთის ჩემპიონატი მომავალ უქმეებზე იწყება და „ჩელსიში“ ესიენის გადასვლის ამბავი კვირის ბოლომდე უნდა დასრულდეს. რომან აბრამოვიჩი ლიონში ჩასვლას და ჟან-მიშელ ოლასთან შეხვედრას აპირებს ფეხბურთელის ფასზე მოსალაპარაკებლად. ფრანგული კლუბის პრეზიდენტი ოლა 35 მილიონ გირვანქას ფეხს არ უცვლის. ტრანსფერის მოუგვარებლობის გამო „ლიონის“ მწვრთნელი ჟერარ ულიეც ნერვიულობს, რადგან მას სურს, ზუსტად იცოდეს, მიდის თუ რჩება ესიენი.

განელმა ნახევარმცველმა თქვა: „ვფიქრობ, რომ ჟან-მიშელ ოლა ისევ 35 მილიონს მოითხოვს. ბოლო იმედი რომან აბრამოვიჩია, რომელიც ამ თანხის გადახდაზე უნდა დაყაბულდეს. „ლიონში“ ვეღარ გავჩერდები, ჩემი ბედი აბრამოვიჩის ხელშია“.



მიკაელ ესიენი

**ვაჟა ხუციშვილი**

# სელტიკმა შუნსუკე აისრულა



შუნსუკე ნაკამურა კარიერას „სელტიკში“ გააგრძელებს

„რეჯინა“ და „სელტიკი“ საბოლოოდ შეთანხმდნენ შუნსუკე ნაკამურას ტრანსფერზე. 27 წლის იაპონელი უკვე ოფიციალურად გლაზგოელთა ფეხბურთელია. დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იტალიური კლუბი აზიელში 3 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ფეხბურთელს, რომელმაც აქ გატარებული სამი წლის მანძილზე საოცარი ადამიანური, პროფესიული თუ ტექნიკური თვისებები გამოავლინა. ასევე დიდი მადლობა, იაპონელ ქომაგებს, პრესასა და ჩინოვნიკებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, კლუბის ყველა ნაბიჯს დაწვრილებით არჩევდნენ და გვერდზე გვედგნენ“ — ნათქვამია „რეჯინას“ ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ „რეჯინაში“ გატარებული სამი წლის მანძილზე, ნაკამურამ მართლაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გუნდის ლიდერადაც იქცა. მან სერია A-ში სულ 80 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა.

„სელტიკს“ კი, რომელსაც იაპონელში გერმანული „მიონხენგლადბახი“ ეცილებოდა, თავისი ახალწვეულის დიდი იმედი აქვს. ბოლო პერიოდში გლაზგოელთა მთავარი სამიზნე სწორედ ნაკამურა გახლდათ. შოტლანდიელებს სურდათ, ეს ტრანსფერი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაბმამდე გაეჩარხათ, რასაც მიაღწიეს კიდეც.

**გიორგი ქაქაბაძე**

# MADE IN JAPAN
## კობაიაში, ვაშინგტონი და ტაკუია

მადრიდის „რეალმა“ გუშინ ტოკიოში, „ვერდისთან“ 0:3 წააგო. „ვერდი“ კი ის გუნდია, რომელმაც ბოლო ექვს მატჩში 26 გოლი გაუშვა და ცოტა ხნის წინ მწვრთნელი ოსვალდო არდილესი გაათავისუფლა.

მეშვიდე წუთზე მასპინძლები დაიგო კობაიაშიმ დააწინაურა, მერე ბრაზილიელმა ვაშინგტონმა მეორე მიაყოლა, შესვენების შემდეგ კი ტაკუია იამადამ ახლოდან თავურით მესამე გაიტანა. პირველ ტაიმში მაიკლ ოუენმა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა დევიდ ბექემმა, ვინაც ჩინურ გუნდთან 3:2 მოგებული მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

ტაიმებს შორის გასახდელისკენ მიმავალ ბექემი და კაზუიუკი ტოდა („ტოტენჰემის“ ყოფილი მოთამაშე) წაიჩხუბნენ. იაპონელმა ინგლისელს მსაჯისგან მალულად მიაკურთხა და „რეალის“ ნახევარმცველიც ამიტომ გაბრაზებულა.

ნამატჩევს ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა: „მასპინძელთა ზოგიერთი ფეხბურთელი ძალიან უხეშობდა, ყველაზე მეტად კი ტოდა გამოირჩეოდა. ჩემს გუნდს ბევრი მგზავრობის შედეგად დაღლა აშკარად დაეტყო და მარცხიც ამის ბრალია“.

დაღლილმა „რეალმა“ დღევანდელი ვარჯიში გააუქმა, ხვალ კი „ჯუბილო ივატას“ შეხვდება.

იაპონიამდე მადრიდელებმა მექსიკურ „გვადალახარასა“ და ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მოუგეს. ტურნედან, რომელიც ბანგკოკში დასრულდება, „რეალი“ 25 მილიონი დოლარის მოჩანგვლას გეგმავდა, მაგრამ პროექტი „ჩავარდა“ — მაგალითად, „ვერდისთან“ მატჩზე სტადიონი სანახევროდ ცარიელი იყო.

„ვერდისთან“ „რეალმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კასილიასი; სალგადო (დიოგო 62), ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი; ბექჰემი (ფიგუ 57), გრავესენი (პაბლო გარსია 60), ზიდანი (გუტი 34), რაული (დე ლა რედი 57); რონალდო (სოლდადო 67), ოუენი.*

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

მადრიდის „რეალი“ ტოკიოში გვარიანად შერცხვა

# ტოტი ჭკუას სწავლობს

**„რომას"** კაპიტანი და ლიდერი ფრანჩესკო ტოტი გულშემატკივართათვის ისევ დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებს, უკეთეს თამაშს ჰპირდება და თანაგუნდელების საბრძოლოდ განწყობას ცდილობს. გარდა ამისა, მას სჯერა, რომ ანტონიო კასანო „სტადიო ოლიმპიკოზე" დარჩება და ჩინებულ სეზონსაც ჩაატარებს.

ფრანჩესკო ტოტი: „სკუდეტოს მოგებაზე ვოცნებობ. მჯერა, რომ ეს შეგვიძლია და იმედია, მიზანს მივაღწევთ. „იუვენტუსი", „მილანი" და „ინტერი" რამდენიმე საფეხურით ჩვენზე მაღლა დგანან, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი. რაც შეეხება პროგრამა-მინიმუმს, ეს ოთხეულში გასვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. გასული სეზონი ნამდვილად ჩავაგდეთ და იგივეს განმეორება საშინელება იქნება, მაგრამ თითოეული მოთამაშის კარიერაში არის ასეთი პერიოდები და ვერაფერს გააწყობ. პირადად მე, ხშირად სწორად არ ვიქცეოდი, რასაც გამოვასწორებ. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს".



ფრანჩესკო ტოტი ქომაგებს კარგად თამაშს ჰპირდება

მოგეხსენებათ, დედაქალაქელებს ძალიან სურდათ დავიდ პიზაროს შეძენა, მაგრამ სატრანსფერო ემბარგოს გამო „ინტერს" კონკურენცია ვერ გაუწიეს. როგორც ჩანს, ჩილელზე „რომას" კაპიტანიც მაღალი აზრისაა.

„ვფიქრობ, ზაფხულის საუკეთესო შენაძენი „ინტერმა" გააკეთა, როდესაც „უდინეზესგან" პიზარო იყიდა. იგი ჩინებული ფეხბურთელია" — დასძინა ტოტიმ.

ბოლო დროს ისე ინტენსიურად აღარ ლაპარაკობენ ანტონიო კასანოსა და ამანტინო მანსინის გუნდიდან შესაძლო წასვლაზე. სამაგიეროდ, არ წყდება ჭორები კრისტიან კივუზე. აქაოდა, „ინტერი" ყველანაირად ეცდება, საჭირო თანხა მოიძიოს და რუმინელი ლაიმატოსო. თუმც დედაქალაქელთა ხელმძღვანელობა ამის დაშვებას არ აპირებს.

„კრისტიანი არსად არ წავა. მას ეს თავადაც თქვა და მჯერა. მისი იმ ფეხბურთელ[illegible] მუშაობას, რომლებიც მყავს" — განაცხადა რომაელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

ამასობაში, „გლადიატორთა" ნახევარმცველ ოლივიე დაკურს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა — „ლიონი". თუმც ეს სავარაუდოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „სტად ჟერლანს" მიკაელ ესიენი დატოვებს და საფრანგეთის მოქმედ ჩემპიონებს მისი შემცვლელი დასჭირდებათ.

ამ ეტაპზე კი ვეტერანი ფრანგის შეძენის ყველაზე დიდი შანსი ლონდონის „არსენალს" აქვს. მოგახსენებთ, რომ დაკურს პრემიერლიგაში თამაშის ხანგრძლივი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. იგი „ლიდსსა" და „ევერტონში" ირიცხებოდა.

„ოლივიე სიამოვნებით დათანხმდება „არსენალის" წინადადებას. მთავარია, ლონდონელებმა სათანადო კონტრაქტი მოამზადონ. წესით, ფული და სხვა დეტალები პრობლემა არ უნდა იყოს" — თქვა დაკურის აგენტმა ბრუნო [illegible]

**გიორგი კაკაბაძე**

# ამერიკის მესამე კონკაკაფი
## ჩე ჩე პანამის ისტორიაში

**ოქროს თასის** კი არა, პანამა აქამდე არც ერთი ტურნირის ფინალში არ გასულა და ისტორიული ამბავიც ამერიკაში მოხდა — პანამელებმა ხოსე „ჩე ჩე" ერნანდესის თავკაცობით კონკაკაფის ოქროს თასის ფინალი დააჭაშნიკეს. ისინი მასპინძლებთან მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდნენ, მას შემდეგ, რაც ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ მიილია.

ამერიკელთა მწვრთნელი ბრიუს არენა ნახევარფინალურ მატჩში გააძევეს და ფინალურ შეხვედრას ტრიბუნიდან უყურებდა. მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი აკლდათ და ამიტომ გაუჭირდათ, თან პანამელთა მეკარემ ხაიმე პენედომ ბრწყინვალედ ითამაშა, რომელიც ტურნირზე საუკეთესოდ დაასახელეს. ოქროს თასის ბომბარდირი კი სამი გოლით ამერიკელი დამარკუს ბისლი გახდა, ხოლო პანამელი ფორვარდი ლუის ტეხადა — საუკეთესო ფეხბურთელი.

ტეხადას და ხულიო დელი ვალდესს კარგი საგოლე მომენტები ჰქონდათ, ხოსე ანტონიო ტორესმა კი ცარიელ კარში ვერ გაიტანა, როცა კეისი კელერი ბალახზე უმწეოდ ეგდო.

პანამამ მეოთხედფინალში სამხრეთ აფრიკასთან პენალტებით მოიგო და იმ მატჩში თერთმეტი მეტრიდან ხუთივე გაიტანა. ფინალში იგივე ვერ გაიმეორეს და მხოლოდ ერთხელ იხეირეს. პირველივე დარტყმა ლუის ტეხადას კელერმა აუღო, დელი ვალდესმა ბურთი ხარიხას მოარტყა, ხოლო ალბერტო ბლანკომ კარს ააცილა.

ამერიკამ ოქროს თასი მესამედ მოიგო. პირველად 1991-ში, მეორედ — 2002 წელს. ამ მხრივ მათ მხოლოდ მექსიკა სჯობნის, რომელსაც კონკაკაფური ტურნირი ოთხჯერ მოუგია.



AFP ნიუ იორკიდან

აშშ-ის ნაკრებმა კონკაკაფის ოქროს თასი მესამედ ასწია

**ვაჟა ხუციშვილი**



მასიმო ოდო და ფაბიო კანავარო შესაძლოა, თანაგუნდელები გახდნენ

# შენ ოდო, მე ბირინდელი
## რომაელი ბლაზი ლაციოს?

**„ლაციო"** მზად არის, „იუვენტუსს" მასიმო ოდო დაუთმოს, მაგრამ სანაცვლოდ ალესანდრო ბირინდელისა და მანუელე ბლაზის კონტრაქტის ნახევარს ითხოვს. როგორც ამბობენ, მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და შესაძლოა, შეთანხმებას მალე მიაღწიონ.

მოგეხსენებათ, ტურინელებს მარჯვენა ფლანგზე ჯონათან ძებინას შემცვლელად სწორედ ზემოხსენებული ბირინდელი ჰყავთ. ვეტერანს სრული დატვირთვით, მაღალ დონეზე თამაში უკვე უჭირს და „იუვენტუსიც" ამიტომ მიადგა ოდოს, რომელსაც „დელე ალპიზე" გადაბარგება ძალიან უნდა.

რაც შეეხება ბლაზის, მისთვის გასული სეზონი არც ისე შთამბეჭდავი იყო. თანაც „ბებერი ქალბატონის" რიგებში პატრიკ ვიეირას გამოჩენის შემდეგ, მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება. ამას ისიც ემატება რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი რომშია დაბადებული და სავარაუდოდ, „ლაციოში" გადასვლაზე უარს არ იტყვის.

პარალელურად, „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ახალი ფეხბურთელების ძიებას განაგრძობს. „ლაციოს" მმართველს ამჯერად ვალონ ბეჰრამისთვის დაუდგამს თვალი. იტალიაში უკვე ცნობილი, პერსპექტიული არაბი ფეხბურთელი „ვერონას" საკუთრებაა.

გავრცელებული ცნობით, ლოტიტო მზად არის, ვერონელებს 2 მილიონი გირვანქა გადაუხადოს და ოსმან დაბოც დაუთმოს.

**გიორგი კაკაბაძე**

# ესპანიოლმა ახალგაზრდა კაპიტანი გადაიბირა



პაბლო საბალეტა

**ბარსელონის** „ესპანიოლს" ახალი ფეხბურთელი ჰყავს — არგენტინული „სან ლორენსოს" აწ უკვე ყოფილმა მოთამაშემ პაბლო საბალეტამ გუშინ კატალონიურ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ტრანსფერის ყველა დეტალი შეთანხმებულია. პაბლო საბალეტა კვირას ჩავა ბარსელონაში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „ესპანიოლის" ფეხბურთელადაც ოფიციალურად მაშინ წარადგენენ. მას წარმატებულ კარიერას ვუსურვებ" — განუცხადა არგენტინულ მედიას გუსტავო ალფარომ, „სან ლორენსოს" მწვრთნელმა.

პაბლო საბალეტას სანაცვლოდ კატალონიელებმა 3,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. იგი არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა და ახლახან, ჰოლანდიაში ჩატარებული მუნდიალის ოქროს მედალიც მოიპოვა.

**ლადო ხომერიკი**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# პალერმოს ფარი ფარიდი
## ბარონე არ იყიდება



ფარიდ მონდრაგონს „პალერმო" ეპატიჟება

**სიცილიური** „პალერმო" კვლავ ახალი ფეხბურთელების დამატებაზე ფიქრობს. „რენცო ბარბერას" ბინადრები ამჯერად ვეტარან კოლუმბიელ გოლკიპერ ფარიდ ალი მონდრაგონს უტრიალებენ. როგორც იცით, 34 წლის ფეხბურთელი ამჟამად თურქული „გალათასარაის" კარს იცავს.

კოლუმბიელის სტამბოლელებთან მოქმედ კონტრაქტს ვადა მომავალ ზაფხულს გასდის და მის განახლებაზე ჯერჯერობით საუბარი არ არის. თავად მონდრაგონსაც „გალაში" დარჩენას, სერია A-ში გადაბარგება ურჩევნია.

„ფარიდ მონდრაგონი უახლოეს დღეებში ჩამოვა მოსალაპარაკებლად და სხვა დეტალების მოსაგვარებლად. დანარჩენს დრო გვიჩვენებს" — მოკლედ განმარტა „პალერმოს" სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სიცილიელთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე სიმონე ბარონე „ფიორენტინაში" გადადისო, თუმც პალერმოელთა სპორტულმა დირექტორმა ეს ყველაფერი კატეგორიულად უარყო.

„უსაფუძვლო ჭორებს ნუ აჰყვებით, ეს უბრალოდ, სიცრუეა. სიმონე არ იყიდება და იგი მომავალ სეზონსაც „პალერმოში" გაატარებს, ფლორენციელებს ჩვენთან მასზე არც უსაუბრიათ, რადგანაც იციან, რომ ამას აზრი არა აქვს" — დასძინა ფოსკიმ.

მანვე უარყო ხმები ფაბრიციო მიკოლის „რენცო ბარბერაზე" შესაძლო გადაბარგების შესახებ: „იგი ჩვენთან არ ითამაშებს, რადგანაც მიკოლი გუნდის თავკაც ლუიჯი დელ ნერის გეგმებში არ შედის. ყველას სურვილია, იმაზე უკეთესი გუნდი შევკრათ, ვიდრე შარშან გვყავდა. ჩვენი მიზანი უეფას თასზე და სერია A-ში წარმატებით გამოსვლაა. შემიძლია, გითხრათ, რომ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აღარ ვაპირებთ. იმედია, მწვრთნელი და მოთამაშეები მოლოდინს გაამართლებენ".

რაც შეეხება მიკოლის, ახლა მის მთავარ მსურველად გენუის „სამპდორიას" მიიჩნევენ, რომელიც ალვარო რეკობას გადაბირებას ვერ ახერხებს და სხვა კანდიდატებზე გადაერთო.

„ჩვენ მიკოლიზე ბევრი შემოთავაზებები გვაქვს და არც გვიკვირს, იგი ჩემპიონია. დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ფაბრიციოს სიტყვასაც, თუ სად ისურვებს იგი თამაშს. ჯერჯერობით კი მეტს ვერაფერს გეტყვით" — აღნიშნა „იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

**გიორგი ძაძამაძე**



მიხაელ ბალაკი

# ბალაკი მადრიდს უახლოვდება

**გერმანელი** მიხაელ ბალაკისა და „რეალის" სატრანსფერო ფლირტი გრძელდება. შეგახსენებთ, რომ მადრიდელთა პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მზად არის, ნახევარმცველში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს, მიუნხენელები კი გაცილებით მეტს ითხოვენ, თუმც დრო ახლა „სამეფო კლუბზე" და ბალაკის სხვა მსურველებზე მუშაობს, რადგანაც 28 წლის ფეხბურთელი „ალიანს არენას" ბინადრებთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ჯერაც უარობს. შესაბამისად, თუ „ბაიერნის" უფროსობას მთლად ხახამშრალად დარჩენა არ სურს, იგი ახლავე უნდა გაასხვისოს, თანაც არც ისე სასურველ ფასად.

„მიუნხენელებს ურჩევნიათ, „რეალის" წინადადებას დათანხმდნენ. ეს მათთვის არცთუ ურიგო ვარიანტია. თავად ბალაკი კი პრიმერადივიზიონში თამაშის შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებს" — ვკითხულობთ გუშინდელ „მარკაში".

ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ბაიერნის" კაპიტანს კარიერის ესპანეთში ან იტალიურ გრანდში გაგრძელება სწადია. ყველაზე ხშირად მილანის „ინტერს" ახსენებდნენ, მაგრამ თავად ფეხბურთელს რომ პრიმერადივიზიონისკენ უფრო მიუწევს გული, დასამალი არ არის. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს მან კინაღამ „ბარსელონაში" ამოყო თავი.

ცოტა ხნის წინ კომენტარი თავად ბალაკმაც გააკეთა — მოსაფიქრებლად უფრო დიდი დრო მჭირდება, არ გამოვრიცხავ, „ბაიერნთან" კონტრაქტი გავახანგრძლივოო.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

**ლადო ხომერიკი**

# ლაპორტამ აფრიკელი კამენი ჩაიფიქრა



კარლოს კამენი

**კამერუნელი** კარლოს კამენი გასული პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა. „ესპანიოლის" მეკარემ მეტოქეების მოიერიშეთა უკუგდება იმდენჯერ და ისეთი ოსტატობით შეძლო, რომ მყისვე იქაური გრანდების ყურადღება მიიპყრო. როგორც ირკვევა, ერთი თვის წინ, სამუელ ეტოოსთან კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად აფრიკაში ჩასული „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა კამენისაც შეხვდა და „კამპ ნოუზე" გადაბარგების პერსპექტივაზე ჩამოუგდო სიტყვა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს ლაპორტამ ჯერ არ იცოდა, დარჩებოდა თუ არა გუნდში „ბარსას" ამჟამინდელი მეკარე ვიქტორ ვალდესი, რადგანაც ახალგაზრდა გოლკიპერმა კატალონიელებთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება ძალიან გააჯანჯლა და საბოლოოდ ცოტა ხნის წინ გააფორმა გუნდთან ახალი შეთანხმება 2010 წლამდე.

ლაპორტას შეთავაზებით გაკვირვებულ კამენის მხოლოდ ეს უთქვამს, „ესპანიოლის" გარდა სხვა კლუბზე არასოდეს მიფიქრიაო. ეს ინფორმაცია მადრიდულმა „ასმა" გაავრცელა. ახლა კი ესპანური სპორტული პრესის დიდი ნაწილი ისევ ამ შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსამ" ვალდესთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, შესაძლოა, ახალგაზრდა და პერსპექტიული კამენის შეძენაზე მაინც არ თქვას უარი. განსაკუთრებით აქტიურობს სამუელ ეტოო, რომელსაც თანამემამულის „კამპ ნოუზე" მიყვანა უნდა.

კატალონიელთა ფორვარდმა მრავალჯერ მიანიშნა კლუბის უფროსობას, კარლოს კამენი ძალიან ნიჭიერია და „ესპანიოლზე" უკეთესი გუნდი სჭირდებაო. თანაც „ბარსაში" გადასვლა თავად გოლკიპერსაც სდომებია.

ერთი სიტყვით, თუ ლაპორტა და კომპანია კამენის შეძენას გადაწყვეტენ, 6 მილიონი ევროს გაღება მოუწევთ.

**ლადო ხომერიკი**

# სითი ვასელს ელის

**დარიუს ვასელი,** რომელმაც ბირმინგემის „ასტონ ვილაში" შვიდი სეზონი გაატარა, „მანჩესტერ სიტიში" გადადის. კლუბები სატრანსფერო ფასზე უკვე შეთანხმდნენ, რაც 2 მილიონ 500 ათას გირვანქას შეადგენს. ფორვარდი მანჩესტერში მალე ჩავა, სადაც პირად ჯამაგირზე მორიგების და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ კონტრაქტს გააფორმებს.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტიმ" შონ რაიტ-ფილიპსის „ჩელსიში" გაყიდვით 21 მილიონი გირვანქა „მოჭრა" და გუნდის შევსებას შეუდგა. მათ უკვე გადაიბირეს ენდი კოული „ფულემიდან", ახლა კი „ასტონ ვილას" ვასელისთვის მიადგნენ.

დარიუს ვასელს ბირმინგემელებთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურებოდა, მაგრამ დევიდ ოლირიმ ფეხბურთელის მუქთად დაკარგვას, ორიოდ მილიონით ბიუჯეტის შევსება ამჯობინა. სწორედ მასთან კონსულტაციის შედეგად გადაწყვიტა ვასელმა გუნდიდან წასვლა. მეგოლე გასულ სეზონში ტრავმამ ოთხი თავით ჩამოაშორა ძირითად შემადგენლობას, „ასტონ ვილამ" კი კევინ ფილიპსი დაიმატა, რომელსაც დარიუს ვასელს ადგილი დაიკავა.



დარიუს ვასელი

**ვაჟა ხუციშვილი**

# სევილიამ ბაპტისტა გააჯერესა
## დინის მეოთხე და ოცდაოთხი

**ლონდონის** „არსენალი" მეოთხე ცდაზე ჟულიო ბაპტისტას ალბათ გადაიბირებს. „მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა ოთხი რეისი „გააკეთა" ესპანეთში და ყოველ ჩასვლაზე სევილიელები ფეხბურთელს ფასს უმატებდნენ. ახლა კი ესპანური კლუბის პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ თქვა, „არსენალმა" ამჯერად გაცილებით მეტი თანხა შემოგვთავაზა, რაც 24 მილიონ ევროს უდრისო.

„ჯერ არაფერზე შევთანხმებულვართ — თქვა დელ ნიდომ — მაგრამ გეტყვით, რომ „არსენალი" მიუახლოვდა იმ ფასს, რომელსაც ვითხოვდით. თავიდან 12 მილიონი ევროთი დაიწყეს ახლა კი თანხა გააორმაგეს. დაახლოებით იმდენივეა, რაც თავის დროზე ხოსე ანტონიო რეიესში გადაგვიხადეს. დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება".



ჟულიო ბაპტისტა

ხოსე ანტონიო რეიესი კი მოგეხსენებათ, „არსენალმა" 2004 წლის იანვარში 15 მილიონ ევროდ შეიძინა „სევილიასგან" და, კონტრაქტის პირობის თანახმად, მოგვიანებით ათი მილიონი დაამატა. დელ ნიდო ამჯერადაც მსგავსი კონტრაქტის გაჩარხვას ცდილობს.

გარდა ამისა, „არსენალი" ჟულიო ბაპტისტას ჯამაგირად კვირაში 50 ათას გირვანქას ჰპირდება, ათჯერ მეტს, ვიდრე „სევილიაში" უხდიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამხანაგური მატჩი

## გატუზო ამერიკაშიც წითელია

ჩელსი (ინგლისი) 1:0 მილანი (იტალია)
1:0 რობენი (13)
ჩელსი: კუდიჩინი (ჩეხი 46), ჯერემი (დელ ორნო 46), პ. ფერეირა (ჰუთი 46), რ. კარვალიუ (ტერი 46), გალასი (გ. ჯონსონი 46), ჰობენი (რაიტ-ფილიპსი 46), მაკელელე (ლ. დიარა 80), ლამპარდი (დროგბა 65), დაფი (ჯ. კოული 46), კრესპო (კ. კოული 46; იაროშიკი 79), გუდიონსენი (ტიაგუ 57)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მილანი: ელეფთეროპულოსი, კაფუ, ნესტა, სტამი (შიმიჩი 46), კალაძე, გატუზო, პირლო (ფოგელი 46), ზეედორფი, რუი კოშტა, სერჟინიო, ვიერი (არდემანი 35)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: სერჟინიო, ჯ. კოული, კაფუ
გაძევება: გატუზო (90)
მსაჯი: ტერი ვაფნი (აშშ)
26 208 მაყურებელი

**26 ათასი** მაყურებელი დაესწრო „ჩელსისა“ და „მილანის“ თამაშს ამერიკაში. ფოქსბოროში, რომელიც ბოსტონიდან ოცდაათი კილომეტრზე მდებარეობს. ჯენარო გატუზომ არაფრად ჩააგდო მატჩის ამხანაგურობა და ჯო კოულთან უხეშობისთვის შეხვედრის მიწურულს გააძევეს.

კარლო ანჩელოტიმ მხოლოდ სამი ფეხბურთელი შეცვალა. ჟოზე მაურინიუმ კი თამაშის საშუალება ოცდასამივე ფეხბურთელს მისცა, მათ შორის შონ რაიტ-ფილიპსს და ლასანა დიარას, რომლებმაც პირველად მოირგეს „ჩელსის“ მაისურა.

„მილანს“ არ ჰყავდა ანდრეი შევჩენკო, ალბერტო ჯილარდინო, დიდა, კაკა, იანკულოვსკი და პაოლო მალდინი, ხოლო კრისტიან ვიერის პირველივე ტაიმში ყმაწვილი მატეო არდემანი ჩაენაცვლა. შეგახსენებთ, რომ ფილიპო ინძაგი იტალიაში დარჩა და ტრავმას იშუშებს. გუნდმა, ფაქტობრივად, ფორვარდების გარეშე ითამაშა. ამის კვალობაზე გასაკვირი არაა, რომ „შავ-წითლებს“ შეტევაში არაფერი გამოუვიდათ. შესვენებამდე „მილანს“ მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა — კაფუს ჩაწოდებული ბურთი ჯერემიმ ზეედორფისკენ მოიგერია, ჰოლანდიელის დარტყმული კი კუდიჩინიმ „გამოაძრო“.

ერნან კრესპოს, რომელსაც „მილანში“ დარჩენა ძალიან სურდა, ორჯერ შეეძლო გატანა. პირველად გადაამლაშა, როცა დარტყმას პასი არჩია, ხოლო მეორედ კარს ააცილა. არიენ რობენის გოლი კი საკმაოდ ეფექტური გამოვიდა — ბურთი მეკარისა და ხარიხას შუა გააძვრინა. ისიც ვქთვათ, რომ „მილანმა“ თერთმეტი კუთხური ჩააწოდა, „ჩელსის“ ერთის წინააღმდეგ.

ნამატჩევს კაფუმ განაცხადა, ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ დაცვაში მცირე პრობლემები მოსაგვარებელიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



კახა კალაძის „მილანმა“ ამერიკული ტურნე მარცხით დაიწყო



რობერ პირესს „არსენალში“ დარჩენა არ უნდა

## იუვე არსენალს გადაეკიდა
### პირესი მინდა, პირესი

**იტალიური** პრესა იუწყება, რომ „იუვენტუსი“ ისევ ცდილობს რობერ პირესის დამატებას, მაგრამ ტურინელები 31 წლის ფრანგთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გააფორმებენ კონტრაქტს, თუ იგი თავისუფალი აგენტი გახდება.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, პირესმა კიდევ ერთი სეზონი უნდა გაატაროს „არსენალში“. ახალი შეთანხმების გაფორმება არ ხერხდება, რადგანაც მხარეებმა მის დეტალებზე ვერ მოილაპარაკეს. თანაც თავად ფეხბურთელსაც „დელე ალპიზე“ სურს გადაბარგება.

თუ პირესი ლონდონელთა დარწმუნებას შეძლებს და კლუბთან მოქმედ შეთანხმებას გააუქმებს, „იუვენტუსი“ მზად არის, მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. ამ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში მაურო კამორანეზის პოზიციები ერთიორად შესუსტდება.

მართალია, კაპელო კამორანეზის თამაშით ძალიან კმაყოფილია, მაგრამ, როგორც ამბობენ, შეიძლება, მისი დათმობა მოხდეს — ტურინელებს დეიან სტანკოვიჩის ხელში ჩაგდება და გამთამაშებლის პრობლემის მოგვარება უნდათ, ხოლო „ინტერი“ სერბის სანაცვლოდ კამორანეზის ითხოვს.

ეს ჭორები მას მერე აგორდა, რაც „იუვეს“ გენარალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი გასულ კვირაში მილანში იმყოფებოდა და „ნეროაძურის“ მფლობელ მასიმო მორატის შეხვდა. თუმც ორივე მხარე ირწმუნება, მხოლოდ მეგობრულად ვისაუბრეთო.

„ჩვენ უბრალოდ, ვისაუბრეთ და ყავა დავლიეთ. ტყუილად გგონიათ, რომ საქმე ტრანსფერებს ეხებოდა. ხშირად მესმის ჭორები, თითქოს ჩვენ კრისტიანო ძანეტი გვაინტერესებს. იგი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ „იუვენტუსის“ ნახევარდაცვა სრულიად დაკომპლექტებულია და პირიქით, გუნდს რამდენიმე მოთამაშე დატოვებს“ — თქვა მოჯიმ.

ამასობაში, „ბებერი ქალბატონი“ ჟენევაში ლიეჟის „სტანდარტს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და მე-11 წუთზე დავიდ ტრეზეგეს გატანილი კინკილა გოლით იმარჯვა.

„მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი, განსაკუთრებით მომეწონა ჩვენი დინჯი თამაში ბევრი პასებით. ბურთი ძალიან კარგად გვეჭირა“ — განაცხადა ტურინელთა მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

**გიორგი ძაძამიძე**

### ნორვეგია

ტიპელიგა. XIV ტური

მიოლდე — ბრანი 3:1; ვოლერენგა — ჰამ კამი 2:1; ბოდიო გლიმტი — ვიკინგი 0:3; ფრედრიკსტადი — ლინი 2:1; ტრომსიო — ოდ გრენლანდი 0:1; ალესუნდი — რუსენბორგი 2:1; ლილესტრიომი — სტარტი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 14 | 9 | 3 | 2 | 27:15 | 30 |
| ვოლერენგა | 14 | 8 | 3 | 3 | 23:15 | 27 |
| ვიკინგი | 14 | 8 | 3 | 3 | 23:16 | 27 |
| ბრანი | 14 | 7 | 3 | 4 | 29:17 | 24 |
| ლილესტრიომი | 14 | 7 | 3 | 4 | 21:18 | 24 |
| ლინი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:13 | 21 |
| ფრედრიკსტადი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:20 | 19 |
| რუსენბორგი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:20 | 18 |
| მოლდე | 14 | 5 | 3 | 6 | 20:27 | 18 |
| ჰამ კამი | 14 | 4 | 2 | 8 | 13:20 | 14 |
| ალესუნდი | 14 | 3 | 4 | 7 | 14:22 | 13 |
| ტრომსიო | 14 | 2 | 6 | 6 | 13:18 | 12 |
| ოდ გრენლანდი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:25 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 14 | 2 | 4 | 8 | 14:23 | 10 |

### დანია

სუპერლიგა. II ტური

ბრონდბიუ — სილკებორგი 2:0; მიდტიულანდი — ესბიერგი 2:1; ოდენსე — ოლბორგი 2:1; სონდერიულანდი — ორჰუსი 2:1; ვიბორგი — ნორდსიელანდი 3:1; კოპენჰაგენი — ჰორსენსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ბრონდბიუ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| კოპენჰაგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ოდენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სონდერილანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სილკებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მიდტიულანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ესბიერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ნორდსიელანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ორჰუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ჰორსენსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### ხორვატია

ნაციონალლიგა. I ტური

ციბალია — დინამო 0:4; მედიმურიე — ინტერი 1:2; რიეკა — პულა 2:2; ჰაიდუკი — ოსიეკი 6:0; ზაგრები — სლავენი 3:1; კამენი — ვარტექსი 0:1

### პოლონეთი

I ლიგა. I ტური

არკა 0:0 ლეგია

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი
XII ტური

ვესტმანაეიარი — ჰაფნარფიორდური 0:1; რეიკიავიკი — კეფლავიკი 1:3

### ამხანაგური მატჩები

სელტიკი (შოტლანდია) 0:0 ლიდსი (ინგლისი)
დანდი (შოტლანდია) 0:4 ვულვერჰემპტონი (ინგლისი)
ტაილანდის ნაკრები 0:1 ბოლტონი (ინგლისი)
ევერტონი (ინგლისი) 1:1 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
სოდრა (ტაილანდი) 1:1 ასტონ ვილა (ინგლისი)
ფოლკირკი (შოტლანდია) 1:1 კარდიფი (უელსი)
დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) 3:0 ჰიბერნიანი (შოტლანდია)
ლივორნო (იტალია) 2:1 ტიმოშოარა (რუმინეთი)
კიევო (იტალია) 2:0 აპრატიტოსი (საბერძნეთი)
სამპდორია (იტალია) 4:0 ბოლცანო (იტალია)

### შვედეთი

ალსვენსკა. XV ტური

ჰეკენი — მალმიო 1:0; სუნდსვალი — ჰელსინგბორგი 1:1; ელფსბორგი — ასირისკა 1:3; გეფლე — ჰამარბი 1:1; იორგრიტე — კალმარი 3:3. იურგორდენი — ლანდსკრონა ხვალ გაიმართება, ჰალმსტადი — გიოტებორგი ზეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 14 | 9 | 3 | 2 | 31:15 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:20 | 27 |
| მალმიო | 15 | 8 | 2 | 5 | 17:14 | 26 |
| ჰეკენი | 15 | 8 | 1 | 6 | 23:16 | 25 |
| კალმარი | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:10 | 23 |
| ჰამარბი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:16 | 22 |
| ელფსბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 22 |
| ჰალმსტადი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:19 | 18 |
| გეფლე | 15 | 5 | 2 | 8 | 12:19 | 17 |
| იორგრიტე | 15 | 4 | 3 | 8 | 19:25 | 15 |
| ასირისკა | 15 | 4 | 1 | 10 | 13:18 | 13 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 4 | 7 | 14:29 | 13 |
| სუნდსვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |

სუპერეტა. XVII ტური

დეგერფორსი — აიკ 0:1; ნორჩიოპინგი — იოსტერსი 0:1; ვასბი — ფალკენბერგი 1:0; ფრიოლუნდა — ტრელებორგი 1:2

### ბრაზილია

სერია A. XIV ტური

ბოტაფოგო — ბრაზილიენსე 1:1; გოიასი — ფორტალეზა 2:1; პარანა — ატლ. პარანენსე 2:0; სან პაულუ — სან კაეტანო 0:1; კურიტიბა — ფლამენგო 3:2; ჟუვენტუდე — ფიგეირენსე 1:4; პალმეირასი — ატლ. მინეირო 1:0; ვასკუ და გამა — კორინთიანსი 2:3; კრუზეირო — სანტოსი 3:2; პაისანდუ — ინტერნასიონალი 1:2; პონტე პრეტა — ფლუმინენსე 2:1

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. I ტური

დომზალე — ნაფტა 2:0; დრავა პტუი — ველენიე 1:0; კოპერი — პრიმორიე 1:1; ნოვა გორიცა — ბელა კრაინა 4:0; პუბლიკუმი — მარიბორი 0:0

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

იარო — კუოპიო 2:1; მარიეჰამნი — ჰიკ 3:4; ტპ-47 — კტპ 0:2. ჰაკა — ტურკუ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 15 | 10 | 4 | 1 | 28:8 | 34 |
| ჰიკ | 15 | 8 | 7 | 0 | 24:13 | 31 |
| ჰაკა | 14 | 6 | 7 | 1 | 21:8 | 25 |
| ტამპერე | 12 | 6 | 4 | 2 | 17:10 | 22 |
| კტპ | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| ინტერი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:7 | 20 |
| ალიანსი | 14 | 4 | 8 | 2 | 16:19 | 20 |
| მარიეჰამნი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:18 | 16 |
| ტურკუ | 13 | 4 | 3 | 6 | 12:15 | 15 |
| ლაჰტი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| როვანიემი | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| კუოპიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16:27 | 14 |
| იარო | 15 | 2 | 5 | 8 | 7:20 | 11 |
| ტპ 47 | 15 | 2 | 2 | 11 | 9:20 | 8 |

### სლოვაკეთი

I ლიგა. II ტური

ინტერი — ბანსკა ბისტრიცა 2:0; ნიტრა — პეტრჟალკა 1:0; პუხოვი — ჟილინა 1:5; ტრნავა — რუჟომბეროკი 2:0

### იაპონია

ჯეი ლიგა. XVIII ტური

ჰიროშიმა — ვერდი 3:0; იჩიჰარა — კავაზაკი 1:0; ომია — კაშიმა 0:2; ტოკიო — კობე 1:1; გამბა — სერეზო 4:1; შიმიცუ — ურავა 0:1; იოკოჰამა — კაშივა 0:0; ნაგოია — ივატა 2:0; ოიტა — ნიიგატა 1:3

### ჩილე

კლაუსურა
II ტური

უონდერერსი — დეპორტეს კონსეპსიონი 1:1; უაჩიპატო — პალესტინო 0:0; კობრელოა — მელიპილია 3:1; კოლო კოლო — ლა სერენა 1:1; უნივერსიდად კათოლიკა — კოკიმბო 1:1; რეინჯერსი — პუერტო მონტი 3:0; უნივერსიდად კონსეპსიონი — ევერტონი 2:1; ტემუკო — აუდაქს იტალიანო 1:0; სან ფელიპე — უნივერსიდად დე ჩილე 4:1

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 294 | მოთერველი-სელტიკი | 8.50 | 4.30 | 1.25 | 2.85 | 1.08 | 1.00 |
| 18:00 | 295 | დანდი-აბერდინი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 18:00 | 296 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 297 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18:00 | 298 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 299 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.75 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 15 | [illegible]-ავსტრია(ლ) | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 21:00 | 16 | კაპფენბერგი-ავსტრია(ზ) | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:00 | 17 | [illegible] | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 21:00 | 18 | [illegible]-ლეობენი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 19 | ალტახი-შვანენშტადტი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 39 | [illegible] | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:15 | 40 | [illegible] | 1.60 | 3.20 | 5.30 | 1.06 | 1.22 | 1.99 |
| 22:00 | 41 | [illegible] | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 42 | [illegible] | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 43 | [illegible] | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 22:00 | 44 | [illegible] | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 45 | [illegible] | 3.30 | 2.80 | 2.10 | 1.51 | 1.28 | 1.20 |
| 22:00 | 46 | [illegible] | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 47 | [illegible] | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 48 | ლე მანი-ლიონი | 3.80 | 2.90 | 1.90 | 1.64 | 1.26 | 1.14 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 74 | [illegible] | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 21:00 | 75 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 21:00 | 76 | [illegible] | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 22:00 | 77 | [illegible] | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 22:00 | 78 | [illegible] | 4.50 | 3.20 | 1.65 | 1.87 | 1.20 | 1.08 |
| 22:00 | 79 | [illegible] | 1.60 | 3.20 | 5.00 | 1.06 | 1.21 | 1.95 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 80 | [illegible] | 1.65 | 3.20 | 4.70 | 1.08 | 1.22 | 1.90 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 89 | [illegible] | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 139 | [illegible] | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 140 | [illegible] | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 147 | [illegible] | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 148 | [illegible] | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 149 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 150 | მიალბი-[illegible] | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 151 | ჰაკა-ინტერი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 152 | [illegible] | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 160 | ვალური-ფილკირი | 1.75 | 3.60 | 3.80 | 1.17 | 1.19 | 1.84 |
| 23:15 | 161 | გრინდავიკი-[illegible] | 2.85 | 3.00 | 2.30 | 1.46 | 1.27 | 1.30 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 168 | ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 169 | ნიუ იორკი-დალასი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 179 | ფორტალესა-ჟუვენტუდი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 180 | ფლუმინენსე-გოიასი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:45 | 181 | სან კაეტანო-ბოტაფოგო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 182 | კორინთიანსი-კრუზეირო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 183 | ატლეტიკო პრ-ვასკო და გამა | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 184 | სანტოსი-პონტე პრეტა | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 185 | ატლეტიკო მნ-სან პაულუ | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 186 | ფლამენგო-პალმეირასი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 23:45 | 187 | ბრაზილიენსე-პაისანდუ | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 188 | ფიგეირენსე-კურიტიბა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 23:45 | 189 | ინტერნაციონალი-პარანა | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 211 | დინამო(კ)-თჯნი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 14:00 | 212 | მალმო-მაკაბი | 1.70 | 3.20 | 4.00 | 1.11 | 1.19 | 1.77 |
| 14:00 | 213 | ლებრეცენი-ჰაიდუკი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 21:00 | 309 | ანორთოსისი-ტრაბზონი | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 22:30 | 310 | ანდერლეხტი-ნეფჩი | 1.10 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:30 | 311 | ვოლერენგა-ჰაკა | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 22:30 | 312 | კაუნასი-ლივერპული | 9.50 | 4.80 | 1.20 | 3.18 | 1.06 | 1.00 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 313 | ლუდოგორეცი-რაპიდი | 7.50 | 4.70 | 1.30 | 2.88 | 1.10 | 1.01 |
| 21:30 | 314 | პარტიზანი-ტირასპოლი | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 22:00 | 315 | პეტრჟალკა-სელტიკი | 4.40 | 3.30 | 1.65 | 1.88 | 1.20 | 1.10 |
| 22:00 | 316 | რაბოტნიჩკი-ლოკომოტივი(მ) | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 22:30 | 317 | შელბურნი-სტეაუა | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| 22:30 | 318 | ტირანა-ცსკა(ბულ) | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი(19)** | | | | | | |
| | | **ჩრდ ირლანდია** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 319 | ინგლისი-სერბეთი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 22:30 | 320 | საფრანგეთი-გერმანია | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 240 | ფეიენორდი-არსენალი | 5.50 | 3.60 | 1.50 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| | | **ტურნირი ამსტერდამში** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 275 | ბოკა ხუნიორსი -პორტუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 23:15 | 276 | აიაქსი-არსენალი | 2.70 | 3.00 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 300 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:30 | 301 | შალკე-ვერდერი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 293 | ოსერი-ლიონი | 2.80 | 2.90 | 2.40 | 1.42 | 1.29 | 1.31 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 303 | ვოლფსბურგი-ლანსი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 304 | სიენა-ჰამბურგი | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 305 | დეპორტივო-ნიუკასლი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 19:00 | 306 | ლაციო-მარსელი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 307 | ვალენსია-როდა | 1.20 | 4.90 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.23 |
| | | **ჩოგბურთი კაცები კიტცბიუელი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 410 | ვერდასკო-ხეპი | 1.55 | | | | | 2.25 |
| 13:00 | 411 | ზაბალეტა-კენნელი | 1.10 | | | | | 5.50 |
| 13:00 | 416 | ხანესკი-შტალერი | 1.60 | | | | | 2.10 |
| 13:00 | 418 | ტაბარა-კოელერი | 1.70 | | | | | 2.00 |
| | | **ჩოგბურთი კაცები ლოს ანჟელესი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 422 | გინეფრი-არტურსი | 1.40 | | | | | 2.85 |
| 22:00 | 423 | კიფერი-ბლეიკი | 1.35 | | | | | 2.80 |
| 22:00 | 424 | სპეიდი-მიულერი | 1.40 | | | | | 2.80 |
| 22:00 | 425 | ჰაასი-კარლოვიჩი | 1.45 | | | | | 2.45 |
| 22:00 | 426 | პრბატი-ბეკერი | 1.65 | | | | | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ყავარჯნით შორს ვინ წასულა...
## მარკოიშვილი ბენეტონს ემადლიერება




მანუჩარ მარკოიშვილი კალათბურთს დროებით ჩამოშორდა

*გუშინ, საქართველოს ნაკრების შეკრების დღეს, თბილისში მანუჩარ მარკოიშვილი ჩამოვიდა, მაგრამ რად გინდა — მას მარცხენა ფეხზე ერთთვიანი თაბაშირი ადევს და უყავარჯნოდ ვერ დადის. არადა, ერთი თვის წინ ის სლოვენიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში თამაშობდა და „ოლიმპიას“ ჩემპიონობის მოპოვებაში ეხმარებოდა. მანუჩარმა მაშინ მაქსიმუმი გაიღო ლიუბლიანელთათვის და ეს ტრავმირებული ფეხით გააკეთა. კლუბის უფროსობამ დაქირავებულ მოთამაშეს მაქსიმუმი გამოსწურა, ფეხზე გამაყუჩებელი გაუკეთა და ასე ათამაშა თითქმის მთელი ფინალური სერია. მარკოიშვილმა საჩემპიონო თასი კი აწია, მაგრამ ფეხი ფეხად აღარ უვარგოდა და იძულებული გახდა, ოპერაცია გაეკეთებინა, რაც თავისთავად ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩენას ნიშნავდა კარსმომდგარ საკვალიფიკაციო მატჩებში*

— ძალიან მინდოდა ნაკრებში თამაში, მაგრამ მხოლოდ ჩემი სურვილი არაფერს ნიშნავს — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა — ფეხი ისეთ დღეში მქონდა, რომ სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა.

**—კონკრეტულად რა გაწუხებდა?**

—კოჭის ძვლის ქვეშ მყესი მქონდა გაწყვეტილი. თან ამ ძვალზე რაღაც წანაზარდი იყო. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ექიმებმა ყველა პრობლემა ამოფხვრეს.

**— მყესი თუ გაწყვეტილი გქონდა, როგორ დარბოდი?**

— სიარულში ხელს არ მიშლიდა, რადგან მთავარი, მამოძრავებელი მყესი არ იყო, სირბილისას კი ძალიან მტკიოდა და მისივდებოდა.

**— ამდენი ხანი რატომ გაიწელა ოპერაციის გაკეთება?**

— ჯერ არკვევდნენ, რა მქონდა კონკრეტულად დაშავებული. მერე იმ პროფესორს არჩევდნენ, რომელიც ოპერაციას მაღალ დონეზე გამიკეთებდა. თან მინდოდა, რომელიმე კლუბთან მომესწრო კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ არ გამომივიდა.

**— საოპერაციოს კონტრაქტს ვინ გაგიფორმებდა?**

— იყო სამი-ოთხი მსურველი, მაგრამ ეს სარისკო ნაბიჯი მაინც ვერ გადადგეს. თითქმის ნახევარი სეზონი გამიცდებოდა და თან არავის ჰქონდა გარანტია, რომ რეაბილიტაციის შემდეგ ძველებურ ფორმაში ჩავდგებოდი.

**— რეაბილიტაციას სად გაივლი?**

— თუ ბედმა გამიღიმა და გუნდი მოვნახე, იქ გავივლი რეაბილიტაციას, ანაც იტალიაში, „ბენეტონის“ ბაზაზე. ამ გუნდისგან ისედაც დავალებული ვარ, რადგან კონტრაქტი უკვე ამომეწურა და ტრევიზოელები ვალდებულნი არ იყვნენ, ოპერაციის ხარჯები გაეღოთ.

**— მაშ, რატომ გაიღეს?**

— მე მათთან მქონდა 3+5-წლიანი კონტრაქტი და სამი წელი უკვე ამოიწურა. „ბენეტონმა“ კიდევ 5 წლით არ გამიგრძელა ხელშეკრულება და ამის გამო ერთგვარი კომპენსაციის სახით ჩემი საოპერაციო ხარჯები გაიღო. თუ გუნდს ვერ მონახავ, ჩამოდი აქ და რეაბილიტაცია გაიარეო, შემომთავაზეს ტრევიზოელებმა, მაგრამ მერიდება მათი ასე შეწუხება. ისედაც დავალებული ვარ, ასე ძვირადღირებული ოპერაცია რომ გამიკეთეს.

**— შენი უახლოესი გეგმები როგორია?**

— რა უნდა ვქნა, უყავარჯნოდ ვერ დავდივარ. შინ ვზივარ. მალე რაჭაში წავალ და დავისვენებ. აგვისტოს ბოლოს თაბაშირისა და ნაკერების მოსახსნელად ისევ იტალიაში უნდა ჩავიდე. მერე კი ახალ კლუბზე უნდა ვიზრუნო.

**ირაკლი პერტაია**

# მესამედიც საქმეა
## ნაკრებს იტალიამდე კანდელაკი მოამზადებს




ნუგზარ კანდელაკი

**გუშინ** საქართველოს ეროვნული ნაკრების მესამედი „დინამოს“ ბაზაზე შეიკრიბა და ნუგზარ კანდელაკის ხელმძღვანელობით წაივარჯიშა.

ვარჯიშზე მხოლოდ 5 კალათბურთელი გამოცხადდა, არადა, იმ 15 კანდიდატიდან, რომლებიც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა საიტალიოდ შეარჩია, უმეტესობა თბილისში იმყოფება.

„დღეს პირველად შევიკრიბეთ, ხვალიდან კი იმ პროგრამით დავიწყებთ მომზადებას, რომელიც გორდონ ჰერბერტმა გამოგვიგზავნა — გვითხრა მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთმა თანაშემწე ნუგზარ კანდელაკმა — ეს პროგრამები ყველა მოთამაშისთვის ინდივიდუალურია და ძირითადად ფიზიკურ მომზადებას გულისხმობს. ყველა კალათბურთელს ეცოდინება, რა და როგორ აკეთოს, უბრალოდ, ერთად იქნებიან „დინამოს“ ბაზაზე.“

შეგახსენებთ, რომ ნაკრები 1 აგვისტოს იტალიაში გაემგზავრება, სადაც მთავარი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი თავის ავსტრალიელ ასისტენტთან, კიმ შილდსთან ერთად დახვდება. იტალიაშივე შეუერთდებიან ნაკრებს ზაზა ფაჩულია და შიო ხეცურიანი.

**ირაკლი პერტაია**




ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია

*ნბა-ში სატრანსფერო ფანჯრის გახსნის გადადებამ ქართველებს კონტრაქტების გაფორმება გადაუვადა მხოლოდ, თორემ არც ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და არც ზაზა ფაჩულიას სანერვიულო არაფერი აქვთ*

# გადადებული კონტრაქტები
## ზაზამ და ნიკამ ნბა დაიბევეს

**ორივე მოთამაშემ** გამონახა სასურველი კლუბი, თუმც ცქიტიშვილისგან განსხვავებით ზაზა ფაჩულიას მომავალი გუნდის ვინაობა ბეჭედდასმული არ გახლავთ. „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ უკვე საჯაროდ გამოაცხადა, რომ ქართველ ფორვარდთან შეთანხმებას მიაღწია და 2005-06 წლის სეზონში „სკიტა“ „მგლებთან“ ითამაშებს.

მინესოტელებზე იმ კინკილა საზაფხულო ლიგის მატჩმა იქონია გავლენა, რომელშიც ცქიტიშვილმა 17 წუთში 25 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. მართალია, მომდევნო მატჩში ნიკამ თითი მოიტეხა, მაგრამ „მინესოტას“ ხელმძღვანელობა ისეთი აჟიტირებული იყო, რომ მაინც დათანხმდა ქართველი ფორვარდის აყვანას.

ისე, დიდ რისკზე არც წასულან მინესოტელები, რაკი ცქიტიშვილს მხოლოდ ერთწლიან და ისიც მინიმუმ ანაზღაურებიან კონტრაქტს გაუფორმებენ 1300 ათასი [illegible] თუ ქართველმა ფეხი [illegible] კარგი, თუ არადა, სეზონის [illegible] კონტრაქტიც ამოიწურება.

„მას პერსპექტივა არ [illegible] — ამბობს „მინესოტას“ ერთ-ერთი მწვრთნელი რექს კალამიანი, [illegible] ლიც მაშინაც წვრთნიდა [illegible] შვილს, როცა ის „[illegible]“ [illegible] მაშობდა — ის დღესაც [illegible] ბულია. რომ ისწავლოს და [illegible] რდეს. ახლაც იმ აზრზე [illegible] ასეთი მონაცემების [illegible] გაზრდა დრაფტზე მე-5 [illegible] ჩევას იმსახურებდა.“

[illegible] ფაჩულიასაც [illegible] ნდი და ისიც სატრანსფერო [illegible] ნის გახსნას ელოდება. ალბათ [illegible] რდით, რომ ზაზა „ატლანტას“ [illegible] დაღიოდა და ეს საქმე თითქმის [illegible] მოკვარახჭინებულია. 28 აგვისტოს [illegible] იხსნება სატრანსფერო სეზონი და სავარაუდოდ ორივე ქართველის [illegible] დიც მაშინ გადაწყდება

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია
თანაუგრძნობს ასოციაციის საპატიო პრეზიდენტს
თენგიზ გაზდელიანს დედის
**თამარ ონიანის**
გარდაცვალების გამო

ხელბურთის კლუბი „სტუ-შევარდენი“ სამძიმარს უცხადებს
საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის საპატიო
პრეზიდენტს თენგიზ გაზდელიანს დედის
**თამარ ონიანის**
გარდაცვალების გამო

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი

# ფელპსის ავ-კარგი



კვირადღეს მონრეალში ქა-[illegible] წყალში მხტომელებმა [illegible] თითო კომპლექტი გაი-[illegible] ამოწურეს თავი-[illegible] ამგვარად, მსოფ-[illegible] დასრულდა წყა-[illegible] სინქრონუ-[illegible] წყალში მოცურავე-

წყალბურთელები კვლავ აგრძე-ლებენ ერთმანეთის კარებების გო-ლებით ამოვსებას და კვირიდან სა-ქმეში მოცურავეებიც ჩაერთვნენ.

ამგვარად, დარჩნენ წყალბურთე-ლები და მოცურავეები.

ჩინელმა წყალში მხტომელებმა ბოლო დღეს თავიანთ მონაგარს კი-დევ ორი მედალი — თითო ოქრო-ვერცხლი მიამატეს. „იოლი" ოქრო იშოვეს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულად მხტომელმა ქალებმა, ხოლო 10-მეტრიანი კოშკიდან ასე-ვე სინქრონულად „გადმოშვებულმა" ვაჟებმა პირველობა რუსულ „დუ-ეტს" დაუთმეს.

სინქრონულად ხტომა აშკარად მო-უხდა წყალში მხტომელთა პროგ-რამას, მაყურებელიც ტყემალზე აღარ ზის და გაცილებით იოლად არჩევს, რაა კარგი და რა ცუდი, რაკი „დუ-ეტში" ორი სპორტსმენის მოძრაო-ბები ყოველთვის ვერ ემთხვევა ერ-თმანეთისას და ასეთი დისციპლინები საქმეში დიდად ჩახედულობასაც არ ითხოვს მაყურებლისგან. მონრეა-ლშიც ამ სახეობათა ფინალებს არა-სდროს აკლდა გულშემატკივრები და ყრიამული.

ახლა კი [illegible] რუნდეთ, რომელთაც [illegible] ლების ოთხი კომპლექტის გათამა-შება მოასწრეს. ქალებმაც და ვა-ჟებმაც ერთსა და იმავე სახეობა-ბში 400 მეტრზე თავისუფალი სტი-ლით და ამავე სახეობაში და 4X100 მეტრზე გამოავლინეს მსოფლიოს ჩემპიონები.

პირველივე ფინალში დაიწყო ავს-ტრალიელთა „მეკობრული თარეშ[illegible]" ოზებს აქამდე მონრეალური ოქრო არ ენახათ და ახლა 400 „თავისუ-ფალ" მეტრზე მათმა 25 წლის გან-სკვლავმა გრანტ ჰეკეტმა [illegible] რიანი ინტერვალით აჯობა [illegible] რი პრილუკოვს. მესამე ადგილი, [illegible] გაგიკვირდებათ და, [illegible] — ტუნისელ უსამა მელულის.

სხვათა შორის, ამ დისციპლინაში კვალიფიკაციაშივე ჩავლაგდა მსოფ-ლიო აუზების უკამკამესი [illegible] ლავი, ამერიკელი მაიკლ ფელპსი, [illegible] ნაც ათენის ოლიმპიადაზე [illegible] ოქრო მოიპოვა და მონრეალის [illegible] წყა-ლში გადაშვებამდე იქადდა, აქ [illegible] ოქროს მოვიგებო. ამგვარად [illegible] რველ ჯერზე კოვზი ნაცარში ჩაუვა-რდა. სამაგიეროდ ფელპსმა [illegible] ლესვე მიიპოვა თავისი პირველი ოქრო და აწი ის რვას მართლაც ვერ შეა-გროვებს, მაგრამ 3-4 ან მეტს კიდევ მიამატებს. ფელპსი ამერიკის ნაკრების 4X100 მეტრზე ესტაფეტაში დაჯდა-რა. მართალია, თავის წილ 100 მე-ტრზე ამერიკელ [illegible] სი დრო აჩვენა, თუმცა აშშ-მ მაინც, გვარიანად გაასწრო ორ [illegible] — კანადასა და ავსტრალიას.

ავსტრალიის დელეგაციას მეო-რე ოქრო მოუტანეს 4X100 მეტრზე მოცურავე გოგონებმა. ხოლო [illegible] სტი სქესის ძლიერ [illegible] ნელთა 400-მეტრიან თავისუფალ გაცურვაში ჩემპიონი ფრანგი ლა-ურე მანოდუ გახდა.

კოტე ყორშია

# ექსპერიმენტი წყალში

[illegible] მონრეალში საწყლოსნო [illegible] წარმომადგენლები მსო-[illegible] მედლებისთვის [illegible] იბრძვიან, ცურვის [illegible] ფედერაცია (FINA) [illegible] შეცვლაზე ფი-[illegible] რამდენიმე სი-[illegible] მაგალითად, საახ-[illegible] წყალბურთისა და [illegible] ცურვაში. ექს-პერიმენტი რაც წლეულს 15 სექტე-მბერს დაიწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება, მერე კი იმსჯელებენ, დანერგონ თუ არა პრა-ქტიკაში ეს სიახლეები.

წყაბლურთში მთავარი სიახლე ისაა, რომ განუზრახავთ სათამაშო სარბიელის ზომების შემცირება, რის შედეგადაც სიგრძე 25-დან 20 მეტ-რამდე უნდა იყოს, ხოლო სიგანე 20-დან 10 მეტრამდე უნდა მერყეო-ბდეს. საჯარიმო ტყორცნა 4-ის ნა-ცვლად 5 მეტრიდან განცხორციელ-დება, ხოლო თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა შვიდიდან რვა წუთამდე გაიზრდება; ბურთის ფლო-ბის დრო 35 წამიდან 30-მდე შეიზ-ღუდება; მეორე და მესამე პერიო-დების შემდეგ შესვენებები ხუთწუ-თიანი იქნება.

ვარაუდობენ, რომ ეს ცვლილებე-ბი მატჩებს უფრო სანახაობრივს გა-ხდის.

ფინა-ს კონგრესმა ცვლილებები შე-იტანა ბრასით ცურვაშიც. ამის შე-დეგად, მოცურავეს უფლება ეძლევა წყალქვეშ თითოეული მობრუნების შემდეგ ფეხებით ერთი მოძრაობა შე-ასრულოს, რასაც ბატერფლაის სტილს დაესესხება.

# შინ დარჩენილი კრისტინას გოდება

ამერიკელი კრისტინა ლუმი მონრეალში მიმდინარე მსოფლიოს [illegible] საწყლოსნო სახეობებში აცრემლებული ადევნებს თვა-[illegible], აბა რა იქნება, როცა მოქმედი სინქრონული ცურვის [illegible] შედეგები კი იმის უფლებას იძლეოდა, რომ მსოფლიოს [illegible] ერთ-ერთი მედლისთვის ებრძოლა, მაგრამ იგი ამ ასპარე-[illegible] არ გაუშვეს.

[illegible] სინქრონულ ცურვაში იყო ამერიკის ჩემპიონი, კეთილი ნების [illegible] ვერცხლის პრიზიორი, მაგრამ მან ამ წარმატებებს ბილ [illegible] წყვილში მიაღწია.

[illegible] თქმა უნდა, კაცია. ჰოდა, ძალლის თავიც სწორედ აქაა [illegible] თუ გადავხედავთ ოლიმპიური თამაშების ან მსოფლიოს [illegible] პროგრამას იქ ამოვიკითხავთ: „სინქრონული ცურვა. [illegible]"

[illegible] აზრით, სქესის მიხედვით დისკრიმინაცია სინქრონულ [illegible] ვნებს.

[illegible] და ქალებს ერთად რომ ეასპარეზათ, ჩვენი სახეობა ხარის-[illegible] ახალ დონეზე ამაღლდებოდა. მე ბილთან ერთად ქალსა და [illegible] წყალში ურთიერთობების გრძნობებს გამოვხატავდი, [illegible] კი სინქრონულ ცურვაში გრძნობები პრაქტიკულად არ არის" — ამბობს კრისტინა.



24 ივლისი

## წყალში ხტომა

**კაცები 10 მ სინქრონული კოშკი**

1 რუსეთი (დმიტრი დობროსკოკი, გლებ გალპერინი) 392.98
2 ჩინეთი (ძინგუი იანი, ძია ჰუ) 374.79
3 ბრიტანეთი (პიტერ უოტერფილდი, ლეონ ტეილორი) 367.95

**ქალები 3 მ სინქრონული ტრამპლინი**

1 ჩინეთი (ტინ ლი, ძინგძინგ გუო) 349.80
2 გერმანია (დიტე კოტციანი, კონი შმა-ლფუსი) 319.05
3 უკრაინა (კრისტინა იშჩენკო, ალიონა ფედოროვა) 308.32

ცურვა

## ცურვა

**კაცები 400 მ თავისუფალი**

1 გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 3:42.81
2 იური პრილუკოვი (რუსეთი) 3:44.44
3 უსამა მელოლი (ტუნისი) 3:46.08

**კაცები 4X100 მ თავისუფალი**

1 აშშ (მაიკლ ფელპსი, ნილ უოლკერი, ნეიტ დიუსინგი, ჯეისონ ლეზაკი) 3:13.77
2 კანადა 3:16.44
3 ავსტრალია 3:17.56

**ქალები 400 მ თავისუფალი**

1 ლაურე მანოდუ (საფრანგეთი) 4:06.44
2 აი შიბატა (იაპონია) 4:06.74
3 ქეითლინ მაკკლეტჩი (ბრიტანეთი) 4:07.25

**ქალები 4X100 მ თავისუფალი**

1 ავსტრალია (ჯოდი ჰენრი, ალის მილზი, შეინ რიზი, ლისბეტ ლენტონი) 3:37.32
2 გერმანია 3:38.24
3 აშშ 3:38.31

# ხვატი და პატი



რობი ჯინეპრი

**RCA CHAMPIOSHIPS**
**ინდიანაპოლისი**
**მაგარსაფარი. 575 ათასი $**
**ფინალი**
**რობი ჯინეპრი (აშშ) — ტაილორ დენტი (4, აშშ) 4:6 6:0 3:0**

**ინდიანაპოლისში** იმ დღეს საშინელი ხვატი იდგა და, რაკილა მზეარეში მოთამაშეთაგან უფრო სიცხეგამძლე 22 წლის ჯორჯიელი რობი ჯინეპრი გამოდგა, გამარჯვებულისთვის დათქმული 74 250 დოლარი — ბროლის განსხვავებულითურთ — სწორედ მან ირგუნა.

ზორბად მომწოდებელმა ტაილორ დენტმა თამაში რიგიანად დაიწყო და პირველი სეტი განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მიითვალა. მაგრამ მერე და მერე სიცხემ თავისი გაიტანა, დენტი შეუძლოდ შეიქნა და ზედიზედ ცხრა გეიმის ჩაბარების შემდეგ ჩოგნის დაშალითება არჩია.

ამ მოგებით ჯინეპრიმ კარიერის მეორე ტიტული მოიხვეჭა. შეგახსენებთ, რომ პირველი მან 2003 წელს ნიუპორტში იშოვნა. ის გახდა პირველი განუთესავი მეჩოგნე 1988 წლის ანუ ტურნირის მაგარსაფარზე გადასვლის მერე.

მისი და დენტის სატიტულე მატჩი კი 2004 წლის სანხოსეის შემდეგ — რომლის გადამწყვეტ შეხლაშიც ერთმანეთს ენდი როდიკი და მარდი ფიში ერკინენ — პირველი შიდაამერიკული საეტაპო ფინალი გახლდათ.

ხოლო თავად ინდიანაპოლისში ამერიკელებს კაი 1992 წლის მერე აღარ ეფინალათ. მაშინდელ ფინალში — აბა, ვიღას ეხსომება და — პიტ სამპრასმა და ჯიმ კურიემ წაიკეჭნავეს.

**WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP WOMEN'S OPEN**
**ცინცინატი. მაგარსაფარი 170 ათასი $**
**ფინალი**
**პატი შნიდერი (1, შვეიცარია) — აკიკო მორიგამი 6:4 6:4**

26 წლის მოწესრიგებულმა შვეიცარიელმა პატი შნიდერმა კარიერის მეათე ტიტული მოირეწა. ამ ტიტულს მით უფრო მეტი ფასი ედება იმის გამო, რომ ძირითადად ევროპაში მოღიდგულე პატის შტატებში აქამდე ერთი ქეციანი ტურნირიც არ მოეგო.



პატი შნიდერი



როჯერ ფედერერი

# როჯერსი უროჯეროდ

**წლევანდელი** კანადური მასტერსობა, „როჯერს კაპს" რომ უწოდებენ და ერთ წელიწადს მონრეალში იმართება, მეორეს კი — ტორონტოში, წლეულს ამქრის ჯვალო პირველოსნისა და თანაც ტიტულდამცველ როჯერ ფედერერის გარეშე ჩაივლის.

ამის მიზეზი ზეგარდმო შვეიცარიელის ვნებული ფეხი გახლავთ, რაიც მას უკანასკნელი თვეების განმავლობაში აწუხებდა.

აქიმთა რჩევით, საიმისოდ, რათა ტრავმა ბოლომდე მოიშუშოს, როჯერს კიდევ სამკვირიანი დასვენება ჩემპიონატი და ამერიკული ტურნირისაც, რომელსაც ნადალი 14 აგვისტოს ჩაივლიდა ტურნირზე უპასუხისმგებლობის ის სწორედ ამის გამო გამოვიდა.

„ის, რომ ტორონტოში ტურნირის დაწყებას ვერ შევძლებ, ძალიან მწყდება. სხვა ოდ ამავდროს ტურნირი სწორედ ჩემ დაბადების დღეს იწყება და ასევე ძალიან ძალიან მიყვარს. მაგრამ ჟენევაში ლომქება მოსარჩენად ახლა აუცილებლად უნდა გავჩერდე" — ამ ახფერიხსვის ერთგული ქინძა ჩოგნის ვებგვერდზე ინფორმაციას.

# უმაგას უგანა



რაფაელ ნადალი

**შტუტგარტობაზე** თავისი მერვე სამსეზონო თიხნარტიტულის მშოვნელი რაფაელ ნადალი ამ კვირაში უკვე ხორვატიაში, უმაგურ თიხნარზე უნდა გვეხილა.

მაგრამ 19 წლის მალიორკელმა ფასკუნჯმა, ვინაც ბოლო 12-წლეულში უმრწემესი მეჩოგნე შეიქნა, წლის დამაგვირგვინებელ რეკაცა ტურნირზე რომ ითამაშებს, ხორვატიაში ჩასვლა იუარა.

„მან შტუტგარტიდან დაგვირეკა და გვითხრა, რომ ძალიან კი წუხს, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო ჩვენი ტურნირის გამოტოვება მოუწევს — თქვა უმაგური ყეენობის დირექტორმა სლავკო რასბერგერმა — ბოლო სამი შეხვედრა მას ინექციების დახმარებით გაუმართავს და ქიანა რჩევით, ამ ერთ კვირას ტყუდებ მოსაშუშებლად გამოვიყენებ."

**ლევან კელაურაძე**



# სამდღიანი კალის ბრაზილიური კვალი

**კოლუმბიაში**, კერძოდ კალიში „ესტადიო პასკუალ ხერეროზე" დასრულდა სამხრეთ ამერიკის 43-ე ჩემპიონატი, რომლის პირველ ორ დღეზე გუშინდელ „სარბიელში" მოგახსენეთ, ახლა კი ბოლო დღეზე გვინდა გითხრათ ოროოდე სიტყვით. მთავარი სათქმელი ეს არის: ბრაზილიელებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ კონტინენტზე მძლეოსნობაში ბადალი არ ჰყავთ.

სამხრეთ ამერიკის პირველი ჩემპიონატი 1974 წელს ჩილეში ჩატარდა და იმ დღიდან მოყოლებული ბრაზილია მეზობლებს ახლოს არ იკარებს. ამჯერად ამ ქვეყნის შედეგი ასეთი გახლდათ: 40 დისციპლინიდან 25 ოქროს მედალი. მეორე შედეგი შეჯიბრების მასპინძლებს, კოლუმბიელებს ჰქონდათ — 10 გამარჯვება, ხოლო არგენტინელებმა 4 ოქროთი გუნდური მესამეობა დაიბევეს. დარჩენილი ერთი ოქრო ურუგვაის ხვდა.

შეჯიბრების მესამე დღე სროლებითა და ტყორცნებით დაიწყო. ამ საქმისთვის კალიში ძირითადი სარბიელის გარდა, „ესტადიო პანამერიკანო" ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც არგენტინელებმა კვეთა შორის ბადროსა (ხორხე ბალიენგო — 60.97მ) და როგორც კალთა (ხუან იგნასიო კერა — 70.03მ), ასევე ქალთა (ჯენიფერ დალგრენი — 65.05) ურონ ტყორცნაში მოიგეს.



ხილმარ მაიო

შუბის ტყორცნაში „პასკუალ ხერეროზე" ბრაზილიელმა ლუიშ ფერნანდო და სილვამ გაიმარჯვა. მისი შედეგი გახლდათ 79.40 მეტრი.

კალიში პირადი ორი-ორი ოქრო სულ ხუთმა სპორტსმენმა მოიგო, მაგრამ ბოლო დღემდე მათი რაოდენობა ორი გახლდათ. ბრაზილიელმა ფაბიან პეჩანიამ და კოლუმბიელებმა — როსიბელ გარსიამ და ბერტა სანჩესმა შეჯიბრების მესამე დღეს შეძლეს ის, რაც მანამდე ბრაზილიელებს ანდრე და სილვას და ლუსიმარ დე მურას ჰქონდათ მოხერხებული.

აღსანიშნავია, რომ ქალმაც და კაცმაც არც მეტი, არც ნაკლები, 100 და 200 მეტრზე რბენაში მოიგეს თავიანთი ოქროები.

პეჩანიამ და გარსიამაც თავიანთი ტიტულები ერთნაირად, 800 და 1500 მეტრზე რბენაში მოიპოვეს, ხოლო სანჩესი 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში გამოდგა ძლიერი.

და კიდევ, 35 წლის ვეტერანი ხილმარ მაიო სიმაღლეზე ხტომაში 2. 22 მეტრზე გადახტომის შემდეგ სამხრეთ ამერიკის ოთხგზის ჩემპიონი გახდა.

**ტუტა სიხარულიძე**




ფაბიან პეჩანია

# გთხოვთ, ბოლომდე იბრძოლეთ!

## ლენს არმსტრონგის სულ სხვა გზა




„ტურ დე ფრანსის“ აწ უკვე შვიდგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი ამ კვირადღეს ყვითელ მაისურში გამოწყობილი და ამერიკის დროშამომარჯვებული რომ შეგორდა ელისეს მინდვრებზე, იქაურობა ხალხით და ამერიკისვე დროშებით გადაპენტილი დაუხვდა. ლეგენდარულ ველომრბოლს პარიზის ტრიუმფალურ თაღთან ათასობით თუ არა, ასობით თანამემამულე უცდიდა.

ამერიკაში უყვართ ბეისბოლი, კალათბურთი, იქაური ფეხბურთი, ჰაჰა, ჰოკეი, მაგრამ როდის აქეთ გახდა იქ ველორბოლა ისეთი პოპულარული, რომ ამერიკელები ამ ცოტა მოსაწყენ სახეობაში თავისიანია საქომაგოდ ოკეანეზე გადმოფრენას არ იზარებენ?

წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ ამერიკელებისთვის არნახულად წარმატებული გამოდგა — ლენსმა ისედაც სარეკორდო ექვს ტიტულს მეშვიდეც მიამატა, ხოლო ზეათეულში მის გარდა კიდევ ორი მრბოლი — ლევი ლეიპეიმერი და ფლოიდ ლენდისი მოხვდა.

არა, შტატების მკვიდრნი მაინც არ ჩანან ისეთნი, ველორბოლაში თუნდაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი (არაოფიციალურად) ეროვნულ გმირად გაიხადონ და მასთან ფოტოს გადაღებით კი არა, უბრალოდ, ხელის შეხებითაც გაიხარონ. სამშობლოში არმსტრონგი მთის მწვერვალებთან, უჰაერობასთან, პედლების ტრიალში დაღლილობასან და დიდ გზებთან ჭიდილში გამარჯვების გამო კი არა, სულ სხვა ბრძოლის მოგების გამო უყვართ. ის მათი იმედი, მაგალითი და ბოლოს და ბოლოს ნუგეშია. ლენსმა ეს ბრძოლა მანამდე გადაიტანა, სანამ საფრანგეთის გზებზე იჩემპიონებდა. მან რაღაც ისეთი დაამარცხა, რის წინააღმდეგაც უძლურია ადამიანის გონებაც, ქირურგიაც და საერთოდ ყველაფერი. რაღაც სულელური ნათქვამია, რაც გიწერია, არ აგცდება, მაგრამ არა ამ შემთხვევაში... როგორ უნდა აიცდინო კიბო?!

### ...როგორც მეჯიქ ჯონსონი

„მე „ტურ დე ფრანსზე“ მხოლოდ და მხოლოდ ლენსის საქომაგოდ ჩამოვედი — ამბობს 28 წლის მინ კინგი. მას კიბო აქვს — ჩვენ მისგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით და ახლა აქ მის გასამხნევებლად ვარ.“

ეს საწყალი ხალხი, ვისაც ბედმა ეს საშინელება არგუნა, ძალიან ბევრი ჩამოსულა ამერიკიდან. მაჯაზე ყველა მათგანს ერთგვარი ყვითელი სამაჯური უკეთია და ამ ყვითელნიშნულიანი ხელების ზღვაში ამთავრებს მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ველომრბოლი კარიერას. თავად არმსტრონგსაც უმშვენებს ხელს ეს სამაჯური, ხოლო მას არმსტრონგად კი არა, „ლაივსტრონგად“ (დღეგრძელი) მოიხსენიებენ. მან ხომ ოდესღაც აჯობა ამ ჭირს და შემდეგ მუდამ ცდილობდა, რაიმეთი, თუნდაც თბილი სიტყვით დახმარებოდა კიბოსთან მებრძოლთ.

ახლა, როცა ის საბოლოოდ ჩამოქვეითდა რკინის ორთვალა რაშიდან, არმსტრონგს ყველა კიბოს წინააღმდეგ მებრძოლთა ლაშქრის მედროშედ აღიქვამს. ამ საწყალი ხალხისთვის ის იგივეა, რაც 10-15 წლის წინათ შიდსით ინფიცირებულთათვის მეჯიქ ჯონსონი იყო — იმედი, რომ ბრძოლა ამ უკურნებელ სენთანაც შეიძლება.

„ლენსი დაუჯერებელ მხნეობას სძენს მათ, ვისთვისაც სიცოცხლე თანდათან ქრება“ — ამბობს ჯორჯ ბუში, ვინაც კვირადღეს არმსტრონგს მორიგი ჩემპიონობა მიულოცა და წარმატება უსურვა იმ საქმეში, რომელსაც იგი ველოსიპედიდან ჩამოქვეითების შემდეგ კიდევ უფრო მეტი შემართებით მოჰყიდებს ხელს.

### გამხნევდით, ქალბატონო!

როდესაც არმსტრონგმა 1999 წელს პირველად მოიგო „ტურ დე ფრანსი“, მან დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი — „არა ველოსიპედის შესახებ“. მასში დაწვრილებით აღწერა თავისი განცდები და ყოფა კიბოსთან ორწლიანი ბრძოლის პერიოდში. დაავადებული ხალხისთვის ეს წიგნი მალე იქცა კიბოს წინააღმდეგ თერაპიის საინფორმაციო სახელმძღვანელოდ.

„მაშინ არაფრის თავი არ მქონდა, თითქოს საერთოდ არაფერი შემეძლო, მაგრამ ეს წიგნი რომ მომიტანეს, ღამე გავათენე, სანამ არ წავიკითხე — ამბობს ვირჯინიის უნივერსიტეტის ქალთა საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი დები რაიანი — კითხულობ და გული იმედით ივსება. ფიქრობ, რომ შენამდე სხვამ გაიარა ეს გზა და ის გადარჩა. ყველაფერი არ არის დამთავრებული, იქნებ კიდევ რაღაც... მე მიჭირს გამოვთქვა, რას ვფიქრობდი ამ წიგნის კითხვისას.“

ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავ ბრეტ ფარვის მეუღლე დინამ დიაგნოზის დასმიდან რამდენიმე დღეში მიიღო არმსტრონგის წერილი:

„ვიცი, რომ თქვენ მკერდის კიბო აღმოგაჩნდათ და ვბედავ, რამდენიმე სიტყვა მოგწეროთ. მე ვფიქრობ თქვენს შესახებ. ჯერ არაფერია დამთავრებული, გამხნევდით და ბოლომდე იბრძოლეთ. გთხოვთ, შემატყობინოთ, თუ რაიმეთი შემიძლია თქვენი დახმარება.“

„ღმერთო ჩემო! მე მივიღე წერილი ლენს არმსტრონგისგან — ყვება უკვე გამოჯანმრთელებული დინა — ჯერ ბოლომდე არც გამეაზრებინა, რა შემემთხვა და ლენსმა უკვე მომწერა უდიდესი იმედით აღსავსე წერილი. ყველას ვაჩვენებდი, ვინც კი მოდიოდა ჩემს სანახავად. მაშინვე ვირწმუნე, რომ არ მოვკვდებოდი!“

ათასობით ადამიანი სიცოცხლის უმძიმეს წუთებში გრძნობს დიდი სპორტსმენის მხარდაჭერას. ლენს არმსტრონგი სასწაულმოქმედი არ არის, მისი გამამხნევებელი წერილები და ქველმოქმედება ვერ იხსნის ამ სენთან მებრძოლ ათასებს, მაგრამ ბევრისთვის ხომ არანაკლებ ძვირფასი და მნიშვნელოვანია თბილი სიტყვები, ვიდრე უკვე დაგვიანებული ქიმიოთერაპია.

### მე ვერ მოვიგებდი ტურს!

„...კიბოთი რომ [illegible] ლიყავი“ — [illegible] ნაცობები ნაღდად არ იხსენებენ ახალგაზრდა ლენსს ისეთად, როგორიც ის დღესაა. ნიჭიერი, ზარმაცი და თითქმის თავხედი გახლდათ ჭაბუკობაში, როცა მისთვის კარიერა იწყებოდა და პირველი კილომეტრები უფრო იოლად ნებდებოდნენ, ვიდრე სხვებს.

„ჭირის დღესავით მეზარებოდა ევროპა — ყვება ლენსი — აქ შეჯიბრებებზე ისეთი განწყობით ჩამოვდიოდი, თითქოს გადასახლება მომესაჯათ. დღეებს ვითვლიდი და ერთი სული მქონდა, შინ როდის დავბრუნდებოდი. აქ ხომ ასე მოსაწყენად და მდარედ მიედინებოდა ცხოვრება. მაგრამ 1996 წელს შინ, ოსტინში ექიმმა — მისი სახელიც მახსოვს, ჯიმ რივზი — დიაგნოზი რომ დამისვა, თავიდან დავიბადე. 25 წლისა ვიყავი და მივხვდი, რომ ცხოვრება წარმავალია, შეიძლება უცებ გაქრეს, ამიტომ არ უნდა გაფლანგო, როგორც ამას მე ვაკეთებდი. მახსოვს, ჯიმი მამხნევებდა, მაგრამ არაფერი მესმოდა, მთელმა ცხოვრებამ თვალწინ გამირბინა, განვლილი წლებით ნამდვილად ვერ ვიამაყებდი. მერე კი ყველაფერი გაქრა და რაღაც საშინელების პირისპირ აღმოვჩნდი. მე მარტო არ ვიყავი და მინდა, რომ სხვაც არ დარჩეს მარტო.“

და ის არასდროს ივიწყებს ამ ხალხს, ავადმყოფებიც მასზე ლოცულობენ. ვისაც შეეძლო, ბილეთი აიღო, ატლანტიკა გადასერა და უნახავ მეგობარს მადლობა ქომაგობით გადაუხადა.

აი, ასე არაჩვეულებრივ და სევდანარევ გარემოში დაასრულა ლენსმა კარიერა.

ის შვიდგზის ჩემპიონია, „ტურ დე ფრანსს“ ასეთი არავინ ჰყავს, მაგრამ ლენსისთვის ეს გამარჯვებები მეორეხარისხოვანია:

„ჩვენ, ველომრბოლებმა ვიცით, როგორ მოვიგოთ ტური. ამისთვის საჭიროა ნიჭი, შრომა და ჭკუა. თუ ყველაფერს ერთმანეთს დაამთხვევ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეიძლება. მაგრამ როგორ უნდა ებრძოლო კიბოს? ეს არ არის ველოტურნირი, რომელზეც სამ კვირას იშრომებ და მერე ფეხს ფეხზე გადაიდებ. მე არ ვიცი, როგორ დავამარცხე ის, მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოლომდე ვიბრძოდი და ახლა ყველას ვთხოვ, იგივე გააკეთოს!“

**ირაკლი ფირაშვილი**







ლენს არმსტრონგს უცნობი მეგობრების ლაშქარი ქომაგობს

## ბეისბოლი

# ბეისბოლისტებს ევროპის გზა დაულოცეს

**სპორტის** დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა გუშინ საქართველოს ჭაბუკ ბეისბოლისტთა ნაკრებს უმასპინძლა. ეს ბიჭები პოლონეთის გზას დაადგებიან, რათა ევროპის ჩემპიონატში ჩაერთონ და გუშინდელი შეხვედრის მიზანი საამტურნიროდ მათი შეგულიანება და ქართული ბეისბოლის პერსპექტივაზე საუბარი იყო.

„ჩვენში სპორტის ეს სახეობა გამორჩეული პოპულარობით არ სარგებლობს და შესაბამისად გულშემატკივარიც თქვენგან ისეთ შედეგებს არ ელის, როგორც მოჭიდავეთაგან ან მორაგბეებისგან — თქვა ნამგალაურმა — მათი დარი ავტორიტეტის მოპოვებას სწორად მუშაობა და დრო სჭირდება. მეც ყოფილი ბეისბოლისტი ვარ და გული მწყდება, რომ ჩემს თაობას ურთულეს პირობებში უწევდა არსებობა. ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა გაცილებით წინ ვიქნებოდით. 16-წლამდელთა ნაკრებში დიდი შრომაა ჩადებული და სასურველია, არ დაიკარგოს. თუ მონდომება წყალში არ ჩაიყრება, გარწმუნებთ, ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებით."

დეპარტამენტის თავკაცმა ბეისბოლისტებს აღუთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატების შემთხვევაში გაისად საგრძნობლად შეიცვლება მათი პირობები და მაგალითად ისევ მორაგბეები მოიყვანა, ბიუჯეტი ამ ხალხმა თავისი კარგი შედეგებით გაიორმაგაო.

ბოლოს ერთი უკვე გადაწყვეტილი ამბავიც გაცხადდა. გაისად ნუცუბიძის პლატოზე ბეისბოლისტთათვის კარგი მოედანი გაკეთდება.

მომავალი ტურნირის შესახებ კი ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს ბეისბოლისა და საფთბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ მოგვაწოდა:

„ევროპის ჩემპიონატი პატარა ქალაქ პოზნანის სიახლოვეს 5 აგვისტომდე გასტანს და ჩემპიონი ავტომატურად მსოფლიოს პირველობის საგზურსაც გაინაღდებს. ცხრა ქვეყნის ნაკრებთან ბრძოლაში წარმატება არარეალური სულაც არაა. ამ ბიჭებმა საერთაშორისო ტურნირებზე ორჯერ საპრიზო ადგილების დაკავება მოახერხეს, ახლა კი 16-წლამდელებში დებიუტი აქვთ და იმედია, იქაც შედეგიანად ითამაშებენ."

**ოთარ მაღლაკელიძე**

## მოგზაურობა

# ფოსტალიონის სანაძლეო



**პოლონელმა** ფოსტალიონმა, 41 წლის იაცეკ გუტმა ორიგინალურად გამოიყენა თავისი შვებულება: 230 საათის განმავლობაში მან ველოსიპედით შემოიარა ქვეყნის ყველა ვოევოდა ისე, რომ ჯიბეში ერთი გროშიც არ უჭყაოდა.

„მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა და დავამტკიცე კიდეც, რომ პოლონეთია ის ქვეყანა, სადაც გულღია და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს, რომლებიც მუდამ მზად არიან უანგაროდ დაეხმარონ ყველას" — თქვა თავისი ველომოგზაურობის შემდეგ ფოსტალიონმა.

ამ მოგზაურობისას მას ნებას აძლევდნენ, კარავი გაეშალა ყველგან, სადაც კი დასჭირდებოდა და ოჯახებშიც გაშლილ სუფრასთან ეპატიჟებოდნენ. შემდეგ კი, სანოვაგეს საგზლად ატანდნენ.

ერთ დღე-ღამეში გუტმა ველოსიპედით ერთხელ 220 კილომეტრი გაიარა, მხოლოდ 4-5 საათით იძინებდა და თითოეული დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას სთხოვდა, რომ საგზაო ფურცელზე ბეჭედი დაერტყათ, რათა შემდგომ თავისი მარშრუტი დაემტკიცებინა. იგი აწარმოებდა დღიურსაც, სადაც თითოეულს, ვინც რაიმე დახმარება აღმოუჩინა, ჩანაწერების გაკეთებას სთხოვდა.

მოგზაურმა შეაგროვა აგრეთვე საგზაო პოლიციელთაგან ცნობები, რომ იგი ნამდვილად... ფხიზელი იყო. ეს ცნობები მას სანაძლეოს მოსაგებად დასჭირდა, რადგან მოგზაურობის წინ მისი ყველა თანამშრომელი დარწმუნებული იყო, რომ პოლონეთში უალკოჰოლოდ მოგზაურობა სრულიად შეუძლებელიაო.

## მოტორბოლა

### მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი



ბრიტანული ეტაპი უმძიმეს პირობებში ჩატარდა

# როსი გენიოსი

**ისეთი** რა გამოცდა უნდა მოუწყოს ბუნებამ იტალიელ სუპერჩემპიონ ვალენტინო როსის, რომლის დაძლევასაც იგი ვერ მოახერხებს. კვირას ინგლისში, „დონინგტონ პარკის" ტრასაზე ლამის საზამთრო ამინდში, მხოლოდ 15-გრადუსიან სითბოსა და თავსხმაში მოუხდათ მოტომხედრებს წვალება. უამრავი ბედაური გასრიალდა ლიპლიპა ტრეკიდან. პოდიუმს ვინ ჩივის, ბევრისთვის ფინიშამდე მიღწევაც გმირობა იყო. ყველაზე მძლავრ, „სამეფო კლასში" ზუსტად ნახევარი, ათი მრბოლი გამოეთიშა ბრძოლას.

როსისთვის ბრიტანული ეტაპი თითქმის მშობლიურია, რადგან რამდენიმე წელია, ლონდონში ცხოვრობს და იქაური ფანებიც თავისიანივით ქომაგობენ. „დოქტორმა" კვალიფიკაცია კი მოიგო, მაგრამ სტარტზე შეყოვნდა და მესამე აღმოჩნდა. ასე რომ, თავიდან მოუხდა ქარავანში მეწინავეობისთვის ჯახირი.

რამდენიმე წუთში ყველაფერი თავის ჩვეულ ადგილზე დადგა — ვეტერან ალექს ბარუშის გასწრების შემდეგ როსიმ მშვიდად მიიყვანა საქმე წლეულს უკვე მეშვიდე გამარჯვებამდე. ეს 26 წლის „დოქტორის" სარეკორდო, 110-ე პოდიუმია. იგი ფანტასტიკური, 104-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს სატურნირო ცხრილში და ტიტულიც პრაქტიკულად განაღდებული აქვს.

რბოლის გასრულებამდე საინტერესო ისღა მოხდა, რომ ამერიკელმა ექსჩემპიონმა (2000) კენი რობერტსმა ბოლო წრეზე ინტრიგით აუარა გვერდი იმავე ბარუშს და მიმდინარე სეზონში პირველად შედგა კვარცხლბეკზე.

**გია ახალაძე**

### დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. დონინგტონი — 4023მ

**მოტო გრან პრი — 116,7 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) | 52 წთ, 58.7 |
| 2 კენი რობერტსი (აშშ, სუძუკი) | ჩამორჩა 3,2 |
| 3 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) | 4,0 |

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 211 ქულა; 2 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 107; 3 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 106; 4 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 100; 5 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 95

**250 სმ³ — 108,6 კმ**

| | |
|---|---|
| 1 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) | 49 წთ, 11.3 |
| 2 ენტონი უესტი (ავსტრალია, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 1,2 |
| 3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) | 16,7 |

**საერთო ჩათვლა**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 156 ქულა; 2 სტოუნერი 122; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 111; 4 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 85; 5 დე პიუნე 79

**125 სმ³ — 36,2 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ხულიან სიმონი (ესპანეთი, რედ ბულ KTM) | 17 წთ, 35.5 |
| 2 მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, კოპრონ ჰონდა) | ჩამორჩა 2,4 |
| 3 ფაბრიციო ლაი (იტალია, კოპრონ ჰონდა) | 8,9 |

**საერთო ჩათვლა**

1 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 100 ქულა; 2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 100; 3 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) 99; 4 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 91; 5 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 85

## ავტორბოლა

# აი დედა, აი მამა, ორივე სპორტსმენია



**გერმანიის** სპორტის ერთ-ერთი სექს-სიმბოლო სიუზენ ტიდტკე ამ დღეებში დედა გახდა. სიგრძეზე ხტომის ამ ცნობილ სპორტსმენს შეეძინა გოგონა — მარია, რომლის წონაც 2 800 გრამია, სიმაღლე კი 49 სანტიმეტრი.

პატარა მარიას მამაც ცნობილი გერმანელი სპორტსმენი ჰყავს — ჩოგბურთელი ჰენრიკ დრეკმანი.

„ბედნიერი ვარ, რომ პატარა ჯანმრთელი დაიბადა და მასთან ყოფნა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს" — ამბობს სიუზენი. დრეკმანი კი: „ეს ენით აუწერელი გრძნობაა, როცა განიცდი, რომ ბავშვის დაბადებაში შენც წვლილი მიგიძღვის. ეს უბრალოდ ძალიან მაგარი რამაა."

სიუზენმა და ჰენრიკმა წლეულს 29 იანვარს იქორწინეს კრიხის ქალაქ ბილეფელდში. 29 წლის დრეკმანი შვიდი წლით უმცროსია თავის რჩეულზე.

## კიმის სიხარული



ყველას თავისი უხარია. ბელგიელი კიმ გევარე, მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდებს ვერ წვდება, მაგრამ სამშობლოსას ამყარებს და საჩუქრად თაიგულებს იღებს. შედეგი ფოტოზეც ჩანს, შეჯიბრებას კი ფლანდრიელ მძლეოსანთა საღამო ერქვა.

## [illegible] ევას



ვინც სერიალ „სასოწარკვეთილ დიასახლისებს" უყურებს, მას არც მსახიობ ევა ლონგორიას ცნობა გაუჭირდება. ამჯერად ქალბატონი ევა ადამთა საბეისბოლო მატჩზეა მისული, „ნიუ იორკ იანკი" „ლოს ანჯელეს ეინჯელზს" ხვდება. მსახიობი მატჩის დაწყების წინ სახალისო რამეებს აკეთებს და ტრიბუნებს ახარებს.

## უდიდებულესობანი

მეფე ესპანეთისა ხუან კარლოსი პრინც ფელიპეს აჯილდოვებს. ხომ მაგარია?! ფელიპემ პალმა დე მალიორკაზე, პუერტო პორტალში აფროსნული რეგატა მოიგო.



AFP პალმა დელ მალიორკადან

## დის ამბები



„პენსილვანია 500-ის თასზე" კაილი ბუშმა თავისი „კილოგს შევროლეთი"პირველსავე მოსახვევში კედლის სიმყარე იწვნია და ფინიშის ნაცვლად გარაჟის გზას გაუდგა, რასაც ამ ფოტოთი გიდასტურებთ. რაც შეეხება მის ძმას, კურტს, იგი „ირვინ ფორდით" ჩემპიონი გახდა.



## ლამაზი ცხენი

ამ ლამაზ ცხენს ჰქვია კავალორ კუმანო, მასზე შემომჯდარ ბელგიელ მხედარს კი ჟოს ლანსინკი. მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატის ინდივიდუალური შეჯიბრების A წრე


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge